186/
974/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

101

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი-თებერვალი

1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1974 წ.

12698

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესახებ
2. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამრეწველო მეხილეობის ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

3. საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

4. ქ. რუსთავის ტროლეიბუსის სამმართველოს ტროლეიბუსის მძღოლთათვის პრემიების ოდენობის გადიდების შესახებ

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიის სანიმუშო დებულების დამტკიცების შესახებ
6. ორივე ხელის ან ორივე ფეხის არმქონე ინვალიდებისათვის საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ
7. აკრძალული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების სიაში ცვლილებათა შეტანის შესახებ
8. გარდაბნის რაიონის ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან მცხეთის რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში დიღმის, ლისისა და გლდანის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების გადაცემის შესახებ
9. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა კრებულის გამოცემის შესახებ
10. საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების სამოქმედოდ შემოღების ვადის შეცვლის შესახებ
11. საქართველოს სს რესპუბლიკაში კოოპერაციული სახლების ექსპლუატაციისა და მომსახურების მოწესრიგების შესახებ
12. 1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული მანქანებისა და მოწყობილობის ახალი საბითუმო ფასების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებსა და კაპიტალური მშენებლობის გეგმებში აღრიცხვის წესის შესახებ
13. ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ
14. ნათესავების ერთად მუშაობის შეზღუდვის წესში გამონაკლისის დაშვების შესახებ
15. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ
16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 2 დეკემბრის № 579 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესახებ

„ქ. ქუთაისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 24 სექტემბრის № 700 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემდეგი ფაკულტეტები და სპეციალობანი 1974 წელს მისაღები კონტინგენტით:

I. ტექნოლოგიური ფაკულტეტი

სპეციალობანი:	მიღება 1974 წელს
1002 პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოების ტექნოლოგია	25 კაცი
1011 საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია	50 კაცი
სულ: . . .	75 კაცი

II. მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი

სპეციალობანი:	
1102 ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების რთვა	25 კაცი
1103 გამოსაყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა	25 კაცი
1104 ტრიკოტაჟის წარმოება	25 კაცი
1105 შეკერილი ნაწარმის ტექნოლოგია	25 კაცი
1108 ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია	25 კაცი
1111 ქსოვა	25 კაცი
სულ:	150 კაცი

III. მექანიკურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

სპეციალობანი:	მიღება 1974 წელს
0504 შედუღების წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია	25 კაცი
0517 კვების წარმოების მანქანები და აპარატები	50 კაცი

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

0501 მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ჩარხები და ინსტრუმენტები	75 კაცი
0902 ხის დამუშავების ტექნოლოგია	50 კაცი
სულ: . . .	200 კაცი

IV. ავტომექანიკური ფაკულტეტი

სპეციალობანი:

0513 ავტომობილები და ტრაქტორები	25 კაცი
0525 შიდაწვის ძრავები	25 კაცი
0511 სამშენებლო-საგზაო მანქანები და მოწყობილობა	50 კაცი
სულ: . . .	100 კაცი
მთლად: . . .	525 კაცი

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაითვალისწინონ, მოყოლებული 1974/75 სასწავლო წლიდან, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ზემოაღნიშნულ სპეციალობებზე მიღების შეწყვეტა, გარდა 0501 სპეციალობისა (მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ჩარხები და ინსტრუმენტები).

2. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით:

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაითვალისწინონ 1976-1980 წლებში ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსის მშენებლობა 2 ათასი სტუდენტისათვის, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისა და ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა კათედრების სასწავლო ლაბორატორიათა მოსათავსებლად;

— საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაითვალისწინოს 1976-1980 წლებში ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთათვის 500-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად გაითვალისწინოს 1976-1980 წლებში პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის 96-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე და 96-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა — კოოპერაციული მშენებლობის ხარჯზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს 1974-1975 წლებში ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს 20-20 ბინა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის;

— საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეურნეო ხარჯების დასაფარავად, სასწავლო-საწარმოო ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად და შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტისათვის შესაბამისი ასიგნებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ 15 დღის ვადაში წარუდგინოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დასაბუთებული გაანგარიშება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 15 იანვარი, № 42.

2 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამრეწველო მეხილეობის ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გარკვეული მუშაობაა გაწეული მეხილეობის განვითარებისათვის: გაიზარდა ხეხილის ნარგავების ფართობი, ხილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა.

მაგრამ რესპუბლიკაში მეხილეობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინტენსიური სამრეწველო მებაღეობისათვის წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა თავის დროზე ჯეროვნად არ შეაფასეს ინტენსიური მებაღეობის განვითარების დიდი მნიშვნელობა, რის შედეგადაც ინტენსიური ბაღების შექმნის ნაცვლად ხეხილის გაშენება ხორციელდებოდა მოძველებული ტექნოლოგიის— ეგრეთ წოდებული „მებაღეობის კლასიკური სისტემის“ მიხედვით. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია რესპუბლიკაში ინტენსიური მებაღეობის განვითარების ძლიერი ჩამორჩენა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში, და ისიც ძალიან ნელა, დაიწყო რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ინტენსიური სამრეწველო მებაღეობის დანერგვა, რაც მისი განვითარების ყველაზე პროგრესული მეთოდია. უმნიშვნელო რაოდენობით გამოჰყავთ მებაღეობის ინტენსიფიკაციისათვის საჭირო საშუალო და სუსტი ზრდის საძირეებზე სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავი მასალა, რაც თავის მხრივ აფერხებს სამრეწველო მებაღეობის განვითარებას.

ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში ბაღები ძლიერ გამეჩხრებულია. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ბაღების გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებანი, მოუგვარებელია ხეხილის ბაღების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, ხშირად უხეშად ირღვევა რწყვის წესები. ყოველივე ამის გამო რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხილის საშუალო მოსავლიანობა არ აღემატება 20-35 ცენტნერს ჰექტარზე, მაშინ როცა ზოგიერთ მეურნეობაში იგი 70-100 ცენტნერს შეადგენს. ცალკეულ მოწინავე მეურნეობათა (გორის ექსპერიმენტული მეურნეობა, რუისისა და ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე სოფ. ტყვიავისა და ფლავის კოლმეურნეობები) გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეხილეობის ინტენსიფიკაციის პირობებში საშუალოდ ჰექტარზე შესაძლებელია 250-300 ცენტნერი ხილის მიღება.

მთელ რიგ მეურნეობებში და განსაკუთრებით მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბრძოლა ხეხილის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ.

ძალიან დაბალია საწარმოო პროცესთა მექანიზაციის დონე მეხილეობაში. განსაკუთრებით ნაკლები ყურადღება ეთმობა შრომატევად სამუშოთა მექანიზაციას.

ხშირია შემთხვევები, როცა ბაღებს აშენებენ ცალკეულ სახეობათა და ჯიშთა ხეხილისათვის მთავრობის გადაწყვეტილებებით დაწესებული პროცენტული შეფარდების დარღვევით. განსაკუთრებით მცირე რაოდენობით აშენებენ ისეთ დიდმნიშვნელოვან კულტურებს, როგორიცაა მსხალი, კომში, ბალი, ქლიავი, ატამი, გარგარი, კაკალი და თხილი.

რესპუბლიკაში არსებული ბაღების დიდი ნაწილი ძირეულ რეკონსტრუქციას საჭიროებს.

მეხილეობის მეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მეფუტკრეობის განვითარებას, როგორც ხილის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს არა აქვთ კარგად აღჭურვილი შემფუთავი ქარხნები, სამაცივრო მეურნეობა, დამხარისხებელი და დამყალიბებელი დანადგარები, ხილის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებანი. დღემდე მოუგვარებელია ხილის საბრუნავი და გასაგზავნი ხარისხიანი ტარით მეურნეობების უზრუნველყოფის საქმე.

საზოგადოებრივ მეურნეობებში მეხილეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და მისი სპეციალიზებული ტრესტები, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, საქართველოს კპ საოლქო და რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მეხილეობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ხეხილის ბაღების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას და მიაღწიონ უახლოეს წლებში ხილის წარმოებისა და დამზადების მკვეთრ გადიდებას;

— უზრუნველყონ უახლოეს წლებში არასრულფასოვანი, მცირემოსავლიანი ბაღების რეკონსტრუქცია, რათა შეიქმნას ინტენსიური ტიპის სრულფასოვანი, უხვმოსავლიანი ბაღები;

— აკრძალონ, მოყოლებული 1975 წლიდან, ბაღების გაშენება და რეკონსტრუქცია წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების გარეშე;

— შექმნან შესაძლებლობის კვალობაზე მსხვილი სამრეწველო ინტენსიური ბაღების განვითარებისათვის დიდ მასივებზე სამეურნეობათაშორისო მებაღეობის ორგანიზაციები;

— განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივ მეურნეობათა ბაღებში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყონ თითოეული მეურნეობა ფუტკრის ოჯახების საჭირო რაოდენობით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს:

— გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას საზოგადოებრივ მეურნეობაში ახალი ბაღების გაშენებისა და არსებულის რეკონსტრუქციის ხარჯზე ისეთი ინტენსიური სამრეწველო ბაღების შექმნა, რომელთა მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე იქნება სულ ცოტა 200-250 ცენტნერი არანაკლებ 20 ათას ჰექტარ ფართობზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაანაწილონ კონკრეტული ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით 1976-1980 წლებში ახალი ხეხილის ბაღების გაშენების გეგმით დაწესებული დავალებანი რაიონების, წლებისა და სექტორების მიხედვით, და აცნობონ აღნიშნული დავალებანი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

რაიონებისა და ქალაქების მიხედვით ბაღების გაშენების გეგმის განაწილებისას გაითვალისწინონ:

— ბაღების ყოველწლიური გაშენება ძირითადად რამდენიმე რაიონში, ხოლო რაიონის შიგნით — ინტენსიური სამრეწველო მებაღეობის მეურნეობებში;

— ტყემლის ნარგავების ფართო განვითარება, უპირატესად დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

3. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ 1975-1976 წლებში შეიქმნას მსხვილი მებაღეობის აგროსამრეწველო კომპლექსები:

— გორის რაიონის შინდისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში — 1000 ჰექტარ ფართობზე ინტენსიური სამრეწველო ბაღის გაშენებით;

— გორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში — 600 ჰექტარ ფართობზე ინტენსიური სამრეწველო ბაღის გაშენებით;

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1974 წელს აღნიშნული მეურნეობებისათვის დახურული სარწყავი სისტემების მშენებლობის პროექტების შემუშავება, ხოლო 1975-1976 წლებში — ამ სისტემების მშენებლობა.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყონ, მოყოლებული 1975 წლიდან, პროექტით გათვალისწინებული საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა აღნიშნულ მეურნეობებში.

4. დაწესდეს, რომ:

— ახალი ბაღების გასაშენებლად ნაკვეთებს შეარჩევს და არსებული ბაღების რეკონსტრუქციის მიზანშეწონილობას თითოეულ მეურნეობაში განსაზღვრავს კომისია საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში შედიან მეურნეობის ხელმძღვანელი, მთავარი აგრონომი და სხვა სპეციალისტები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების სპეციალისტთა აუცილებელი მონაწილეობით.

აღნიშნულმა კომისიებმა განსაზღვრონ 1974 და 1975 წლებში ბაღების გასაშენებლად ვარგისი ყველა ნაკვეთი და ეკონომიური და სამეურნეო მიზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწონილობის გათვალისწინებით დააწესონ გასაშენებელი ბაღების ფართობი წლებისა და ხეხილის სახეობათა მიხედვით:, აგრეთვე განსაზღვრონ სარეკონსტრუქციო ხეხილის ბაღების ნაკვეთები და აღნიშნულ სამუშაოთა რიგითობა;

— კომისიის მუშაობის შედეგებს განიხილავენ საქართველოს კპ რაიონული კომიტეტები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, ახალი ბაღების გაშენებისა და არსებულის რეკონსტრუქციისათვის ნაკვეთების შერჩევის აქტებს ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, რომლებიც თავის მხრივ წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს არა უგვიანეს 1975 წლის 1 სექტემბრისა ნაკვეთების შერჩევის შედეგებსა და თავიანთ რეკომენდაციებს.

5. ხეხილის ბაღებისა და სხვა მრავალწლოვან კულტურათა ნარგავების გაშენების და არსებულის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რისთვისაც აღნიშნულ ინსტიტუტთან შეიქმნას შესაბამისი საპროექტო ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ აღნიშნული საპროექტო ორგანიზაციის სტრუქტურა და საშტატო განრიგი და წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

დაწესდეს, რომ ახალი ბაღების შექმნისა და არსებულის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია მუშავდება საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ წინასწარ შემუშავებულ საპროექტო დავალებათა საფუძველზე, რომლებშიც აღინიშნება ჯიშები, სახეობანი, განლაგების სქემები და სხვა საჭირო საწყისი მონაცემები. საპროექტო დავალებებს განიხილავენ და ამტკიცებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო.

დაეკისროს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს საჭირო საავტორო ზედამხედველობის განხორციელება ბაღების გაშენებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესრულებისას.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაჭრან საკითხი საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინტენსიური სამრეწველო მებაღეობის ტექნოლოგიის განყოფილების შექმნის შესახებ, რისთვისაც გამოჰყონ საამისოდ საჭირო ასიგნებანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განსაზღვროს აღნიშნული განყოფილების ამოცანები მებაღეობის ინტენსიფიკაციის თაობა-

ზე ამ დადგენილების შესაბამისად და დაამტკიცოს განყოფილების დებულება.

7. აიკრძალოს ბაღებში სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების თესვა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ შეისწავლონ ხეხილის ბაღებში ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურებისა და შაქრის ჭარხლის თესვის შეწყვეტის შესაძლებლობა და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის ბოლომდე.

8. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1974 წელს გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობაში 400 ტონა ტევადობის ექსპერიმენტული ხილსაცავის მშენებლობა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოყოფილი მთლიანასაწყობი იმპორტული კონსტრუქციებითა და მოწყობილობით.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ გაითვალისწინოს 1975 წელს ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში 1600 ტონა ტევადობის ხილსაცავის მშენებლობა მთლიანასაწყობი იმპორტული კონსტრუქციებითა და მოწყობილობით.

9. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და მისი რაიონული განყოფილებები, საქართველოს კპ რაიონული კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ ხეხილის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, რის შედეგადაც გაიზარდა პროდუქციის დანაკარგები და გაუარესდა მისი ხარისხი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ აღნიშნული სამინისტროებისაგან, უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან განახორციელონ განსაკუთრებული ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის ხეხილის ბაღებში მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, შესაბამისი კადრებით, ტექნიკით, შხამქიმიკატებით, ხსნარების დასამზადებელი რეზერვუარებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს ბრძოლა ბაღების მომიჯნავე ტყეებში სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა წინააღმდეგ.

10. სრულიად შეუწყნარებლად ჩაითვალოს, რომ მთელ რიგ მეურნეობებში ხეხილის ბაღები უზრუნველყოფილი არ არის სარწყავი წყლით, აგრეთვე სარწყავი სისტემები მოუმზადებელია რწყვის სეზონისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მიერ მი-

მუზ. ელექტრონული ბიბლიოთეკა

ცემულ დავალებათა საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაცია და ააშენოს სრულყოფილი სარწყავი სისტემები ახლად გასაშენებელი ინტენსიური და სარეკონსტრუქციო ბაღებისათვის, აგრეთვე განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს სამრეწველო მეხილეობის რაიონებში არსებული ბაღების წყლით მომარაგებას რწყვის მთელი სეზონის განმავლობაში.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“:

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მებაღეობაში სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებას, რისთვისაც შეზიდოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭირო რაოდენობის სათანადო ტექნიკა და უზრუნველყოს მისი ეფექტიანად გამოყენება;

— შეისწავლოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ახალი მექანიზებული რაზმების შექმნისა და არსებული ქვედანაყოფების ტექნიკური აღჭურვის საკითხი და განახორციელოს ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღების მოვლის სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაციისათვის.

12. ინტენსიური მებაღეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საშუალო განათლების მქონე მებაღე-სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება მოაწყოს გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რისთვისაც შექმნას ამ მიზნით საჭირო სასწავლო-საწარმოო ბაზა.

13. დაევალოთ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ამხ. ი. ანანიაშვილი), საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ამხ. ვ. მეტრეველი) და საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ამხ. ლ. ყანჩაველი) ძირეულად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, მთავარი ყურადღება დაუთმონ და ძირითადი ძალღონე მოახმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ინტენსიური სამრეწველო მებაღეობის განვითარების პრაქტიკული საკითხების კომპლექსის გადაჭრას.

14. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილონ საკითხი მეხილეობის წამყვანი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა შტატებში მეხილეობის დარგის მთავარი აგრონომის თანამდებობის შემოღების შესახებ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საჭირო წინადადებანი.

15. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოსცეს 1974 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით ქართულ და რუსულ ენებზე მეხილეობის აგროწესები, აგრეთვე ლიტერატურა ბაღების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების, განვითარებული მებაღეობის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების, მებაღეობის გაძღოლის ყველაზე ინტენსიურ სისტემათა წარმოებაში დანერგვის დაჩქარების მიზნით მოეწყოს 1974 წლის სექტემბერში რესპუბლიკური თათბირ-სემინარი მებაღეობის განვითარების საკითხებზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ წარმოადგინონ ამა წლის 15 აპრილამდე კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (მოწვევა), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ:

— შეიმუშაონ და შემდგომში გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის განვითარების ყოველწლიურ გეგმებში კონკრეტული ღონისძიებანი ხილის მიღების, შენახვისა და გადამუშავების, ხილით მოსახლეობის მომარაგების, ხილის მწარმოებელი და დამამზადებელი მეურნეობებისა და ორგანიზაციების ტარით, სატრანსპორტო საშუალებებით, სასაწყობო და სამაცივრო ტევადობებით უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესებისათვის;

— ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი რესპუბლიკაში ხილის შესანახად სამამულო და საზღვარგარეთული მაცივრების შემოზიდვის შესახებ.

18. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ 1974 წლის ივნისის ბოლომდე შეისწავლოს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობა და წარმოადგინოს ღონისძიებანი მისი მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

19. წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს გამოიცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პერიოდული ჟურნალი „საქართველოს მებაღეობა, მევენახეობა და მეღვინეობა“.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეთანხმებული წინადადებანი აღნიშნული ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოებისაგან, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისაგან, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — მებაღეობის შემდგომი განვითარების საკითხებს და განახორციელონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 15 იანვარი, № 43.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ᲛᲔᲠᲘᲤᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲖᲔ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში დიდი და მიზანდასახული მუშაობა განხორციელდა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინის განმტკიცებისათვის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განვითარებისათვის. ისეთი საკითხები, როგორიცაა: წარმოებაში მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის დანერგვა, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება, ბრძოლა არამწარმოებლური დანაკარგების წინააღმდეგ, სულ უფრო ფართო ასახვას პოულობენ კოლექტიურ ხელშეკრულებებში, კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმებში, სოციალისტურ ვალდებულებებში, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამასთანავე შრომის დისციპლინის, სამუშაო დროის გამოყენების, შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვის მდგომარეობა რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ შეესაბამება წარმოების ინდუსტრიული განვითარების დონეს. მისი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებს.

იმ მიზნით, რომ მშრომელები უფრო ფართოდ ჩაებან მოქმედი მოწყობილობის მაქსიმალური გამოყენებისათვის, მისი მოცდენის მკვეთრი შემცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისათვის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისა და მისი ყოველმხრივი შემჭიდროებისათვის, წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის დისციპლინის განუხრელი განმტკიცებისათვის ბრძოლაში, რაც შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს, და „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს 1974 წლის 15 თებერვლიდან 15 აგვისტომდე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერება.

2. დამტკიცდეს საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის თანდართული პირობები და წესი, აგრეთვე ანგარიშგების ფორმა.

3. დაწესდეს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებმაც მოიპოვეს საუკეთესო მაჩვენებლები სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივ დათვალიერებაში, დაჯილდოვდებიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებით, აგრეთვე ფულადი პრემიებით შემდეგი ოდენობით:

ერთი პირველი პრემია	—	1500 მანეთი;
ორი მეორე პრემია	—	1000 მანეთი თითოეული;
სამი მესამე პრემია	—	500 მანეთი თითოეული

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა და ორგანიზაციათა პრემირება მოხდეს მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე, ხოლო ძველ პირობებში მომუშავე საწარმოთა და ორგანიზაციათა პრემირება — ხელფასის ფონდის ხარჯზე და ფარგლებში.

4. სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მისი შედეგების შეჯამებისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისია.

5. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, რესპუბლიკურმა და ტერიტორიულმა კომიტეტებმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გააცნონ ეს დადგენილება საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყონ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობა სამუშაო დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივ დათვალიერებაში, შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესრულებაში.

მასალები საზოგადოებრივ დათვალიერებაში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების დაჯილდოების შესახებ წარუდგინონ რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას 1974 წლის 15 სექტემბრისათვის.

6. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობა.

7. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობენ სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის სერიოზულ მნიშვნელობას, და გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშაკი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და ღირსეულ წვლილს შეიტანს დათვალიერების მოწყობაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი.

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჟ. შარტავა.

ქ. თბილისი, 1974 წ. 31 იანვარი, № 101

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 101 დადგენილებით

პირობები და წესი

საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობისა

სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერება ეწყობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე 1974 წლის 15 თებერვლიდან 15 აგვისტომდე.

საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის ძირითადი მიზანი ის არის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისა და მისი ყოველმხრივი შემჭიდროებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, რაც შრომის ნაყოფიერების ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს.

დათვალიერების მსვლელობაში მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი ყურადღება და მეცადინეობა უნდა მოახმარონ სამუშაო დღის, თითოეული სამუშაო წუთის რაციონალურად გამოყენებას, მოცდენების ლიკვიდაციას, სამუშაო ადგილების ორგანიზაციის ტიპობრივი პროექტების, გამომუშავებისა და მომსახურების პროგრესული ნორმების ფართოდ დანერგვას, მომუშავეთა დროულად უზრუნველყოფას მასალებით, ინსტრუმენტით, შრომის დაწესებული რეჟიმის დაცვას, წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ორგანიზაციის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულყოფას, მოწყობილობის, ინსტრუმენტისა და აღჭურვილობის უკეთ გამოყენებას, ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას, საწარმოო პროცესებისა და სამმართველო შრომის მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, მუშების მიერ მოწინავეთა გამოცდილების დაუფლებას, აგრეთვე მომიჯნავე პროფესიების შეთავსებას.

დათვალიერების მოსაწყობად პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფართოდ ჩააბან მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესრულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების ორგანიზაცია და ჩატარება

დათვალიერების მოწყობას წინ უნდა უძღოდეს ყოველმხრივი მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებში.

დათვალიერების უშუალო ორგანიზაციისა და ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის იქმნება საზოგადოებრივი კომისიები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებენ პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, სამშენებლო, ადგილობრივი კომიტეტები და საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. კომისიას სათავეში უდგას საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი; კომისიის შემადგენლობაში შედიან პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მოწინავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

კომისიების შემადგენლობა და დათვალიერების მოწყობის გეგმა ცხადდება ბრძანებით საწარმოსადმი ან ორგანიზაციისადმი.

საამქრო და საქარხნო დამთვალიერებელი კომისიები საზოგადოებრიობის მონაწილეობით სწავლობენ შრომის დისციპლინის მდგომარეობას, აგროვებენ წინადადებებს სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების თაობაზე და გამოვლინებულ დარღვევათა შესაბამისად ადგენენ ღონისძიებათა გეგმას, რომელშიც აღინიშნება მათი აღმოფხვრის ვადები და შემსრულებლები.

12698

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კვარტალის დამთავრების შემდეგ ისმენენ გაერთიანებულ სხდომაზე კომისიათა ანგარიშებს დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ და იღებენ სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად ზომებს კომისიის წინადადებათა რეალიზაციისათვის.

დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მოწყობისათვის საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, სამინისტროები და უწყებები ქმნიან პროფკავშირთა საოლქო საბჭოებთან და რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად დამთვალიერებელ კომისიებს, რომლებიც საერთო ხელმძღვანელობას უწევენ დათვალიერებას და ახორციელებენ კონტროლს მისი მიმდინარეობისადმი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამზადებენ და შეაქვთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებისა და რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების განსახილველად მასალები დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ და წინადადებანი მათი შედეგების მიხედვით.

დათვალიერების ძირითადი პირობები

კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების დათვალიერების გამარჯვებულად ჩაითვლება საწარმოს, ორგანიზაციის კოლექტივი, რომელიც ცოცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტური შეჯიბრების პირობების ძირითად და გასათვალისწინებელ მაჩვენებელთა შესრულებასთან ერთად მოიპოვებს აგრეთვე საუკეთესო შედეგებს შემდეგ საკითხებში:

— კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ შრომის დისციპლინის განმტკიცების ვალდებულებათა შესრულება;

— ზეგანაკვეთური სამუშაო საათების, ცვლებშიგა და მთელი დღის მოცდენების შემცირება;

— სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს მუშათა და მოსამსახურეთა დროულად (შესვენების დროს) მომსახურებას;

— შრომის დისციპლინის მდგომარეობა საღამოსა და ღამის ცვლებში;

— მოწინავე და კადრის მუშების შეფობა ახალგაზრდა მუშებისა და იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას;

— კედლისა და მრავალტირაჟიანი პრესის, ელვა-ფურცლების, პლაკატების ეფექტიანი გამოყენება შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის;

— ამხანაგური სასამართლოებისა და საერთო კრებების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება შრომის დისციპლინის განმტკიცებაში;

— შრომის კანონმდებლობის, შრომითი შინაგანაწესის პროპაგანდის ქმედითობა და ა. შ.

დათვალიერების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების დათვალიერების შედეგები ჯამდება 1974 წლის 1 სექტემბრამდე და განიხილება პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად.

ანგარიშებს დათვალიერების შედეგების შესახებ დანართის თანახმად არა უგვიანეს 5 სექტემბრისა უგზავნიან:

— საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები — პროფკავშირთა რესპუბლიკურ დარგობრივ კომიტეტებს;

— რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები — საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს;

— აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები—ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომსა და პროფკავშირთა შესაბამის საოლქო საბჭოებს;

მუზ. 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ადგილობრივი დაქვემდებარების დანარჩენი საწარმოები და ორგანიზაციები — შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს;

— საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, რომლებსაც უშუალო პროფმომსახურებას უწევს საქართველოს პროფსაბჭო, — საქართველოს პროფსაბჭოს.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი პროფკავშირთა შესაბამის საოლქო საბჭოებთან და რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად 15 სექტემბრამდე განსაზღვრავენ ადგილზე გულდასმით შემოწმების გზით საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მათი შეთანხმებული აზრით შეიძლება წარუდგინონ დასაჯილდოებლად საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

შენიშვნა: მასალები საწარმოთა და ორგანიზაციათა დაჯილდოების შესახებ წარედგინება ცენტრალურ კომისიას (ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა, № 19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 101 დადგენილებით

მაჩვენებლები

საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერების პირობებისა

სამინისტრო (დარგი) _____

საწარმო (ორგანიზაცია) _____

მაჩვენებლები	1971 წელი	1972 წელი	1973 წელი	1974 წლის პირველი ნახევარი
1. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა . . .				
გეგმა				
ფაქტ. . . . . , . . ,				
% . . . . . , ,				
2. შრომის ნაყოფიერება				
გეგმა				
ფაქტ. . . . . , . . ,				
% . . . . . , ,				
3. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალო სიობრივი რიცხოვნობა				
გეგმა				
ფაქტ. . . . . , . . ,				
% . . . . . , ,				
მათ შორის:				
მუშები . . . . . , ,				
გეგმა				
ფაქტ. . . . . , . . ,				
% . . . . . , ,				
4. წუნით გამოწვეული დანაკარგები ათას მანეთობით და გამოშვებული პროდუქციის ღირებულების პროცენტულად . . . . . ,				
5. მოცდენა მთელი დროის განმავლობაში (კაც-დღე) ნამუშევარი დროის პროცენტულად				
6. გამოუცხადებლობა ადმინისტრაციის ნებართვით (კაც-დღე) ნამუშევარი დროის პროცენტულად .				
7. გაცდენა (კაც-დღე) ნამუშევარი დროის პროცენტულად . . . . . , , , ,				
8. ცვლებშიგა მოცდენა (კაც-დღე) ნამუშევარი დროის პროცენტულად				
9. სამუშაო დროის დანაკარგები სამუშაო დღის ფოტოგრაფიების მიხედვით (პროცენტობით) — სულ				
მათ შორის:				
წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო				
მუშათა მიზეზით				

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლები	1971 წელი	1972 წელი	1973 წელი	1974 წლის პირველი ნახევარი
10. რიცხვი მუშებისა, რომლებიც ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს (კაცი), მენარდეთა საერთო რაოდენობის პროცენტულად				
11. წასულ მუშათა რაოდენობა — სულ (მუშათა რიცხოვნობის პროცენტულად)				
მათ შორის:				
ა) საკუთარი სურვილით (კაცი) მუშათა რიცხოვნობის პროცენტულად				
ბ) დათხოვნილია გაცდენისა და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებისათვის (კაცი) მუშათა რიცხოვნობის პროცენტულად				
12. გამცდენი მუშების რიცხვი (კაცი) მუშათა რიცხოვნობის პროცენტულად				
მათ მიმართ გამოყენებულია:				
დისციპლინური სასჯელები (კაცი)				
— ჩამოერთვა პრემია გაცდენების გამო (კაცი) .				
— გადაყვანილია დაბალხელფასიან სამუშაოზე (კაცი)				
— განიხილეს ამხანაგურმა სასამართლოებმა (კაცი)				
— განიხილეს მუშათა კრებებზე (კაცი) . . .				
— განიხილეს პროფკავშირის კომიტეტების სხდომებზე (კაცი)				
შვებულება გადაეტანათ ზამთრისათვის (კაცი) .				
— გადაეტანათ ბინის მიღების რიგი (კაცი) .				
— უარი ეთქვათ დასასვენებელი სახლის საგზურებზე (კაცი) და სხვ.				
13. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა რაოდენობა (კაცი) . . . . . ,				
14. მუშაობის რიტმულობა . . . . . , ,				
1 დეკადა . . . . . ,				
2 დეკადა				
3 დეკადა				
15. ზეგანაკვეთური მუშაობის საათების რაოდენობა				
16. დასვენების დღეებსა და დღესასწაულებში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა				

საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი _____

პარტიული ორგანიზაციის მდივანი _____

პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე _____

კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი _____

შენიშვნა: ფორმას უნდა დაერთოს ტექსტობრივი ცნობა, რომელშიც საჭიროა დაწვრილებით აისახოს: დათვალიერების ორგანიზაციისათვის გაწეული მუშაობის შინაარსი, დათვალიერების პროცესში გამოვლინებული ნაკლოვანებები, განხორციელებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ნუსხა და მათი ეფექტიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

4 ქ. რუსთავის ტროლეიბუსის სამმართველოს ტროლეიბუსის მძღოლთათვის პრემიების ოდენობის გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

ქ. რუსთავის ტროლეიბუსის სამმართველოს ტროლეიბუსის მძღოლთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით და ქალაქში მგზავრთა გადაყვანის ინტენსივობის გათვალისწინებით მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება და ნება დაერთოს ქ. რუსთავის ტროლეიბუსის სამმართველოს გაადიდოს ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში ტროლეიბუსის მძღოლთა პრემიების ოდენობა განრიგით (გრაფიკით) ან გარბენის მოცემულ დროში შესრულებული თითოეული რეისისათვის იმ თვიური სატარიფო განაკვეთის ნაწილის 40 პროცენტამდე, რომელიც მოცემული რეისისათვის ეკუთვნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 11 თებერვალი, № 65.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის სანიმუშო დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს მიერ წარმოდგენილი სანიმუშო დებულება კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 14 იანვარი, № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია
საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა
საბჭოს მიერ
1973 წლის 31 აგვისტოს

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 14 იანვრის № 10
დადგენილებით

სანიმუშო დებულება

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის შესახებ

I. ზოგადი საკითხები

1. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია არის მისი საკონტროლო ორგანო, იგი დამოუკიდებელია კოლმეურნეობის გამგეობისა და თანამდებობის პირთაგან და უშუალოდ აბარებს ანგარიშს კოლმეურნეთა საერთო კრებას.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შესაბამისად სარევიზიო კომისიას ირჩევს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება 3 წლის ვადით. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც მსხვილ კოლმეურნეობებში კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება განთავისუფლდეს სხვა სამუშაოსაგან მისი უფლებამოსილების ვადის პერიოდში.

კოლმეურნეობებში, სადაც კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტა რწმუნებულთა კრებას ეკისრება, სარევიზიო კომისიას ირჩევს რწმუნებულთა კრება, და იგი ანგარიშს აბარებს აღნიშნულ კრებას.

2. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ მხოლოდ მოცემული კოლმეურნეობის წევრები ღია ან ფარული კენჭისყრით საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) შეხედულებისამებრ.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, მათი ახლო ნათესავები, ბუღალტრები, მოლარეები, მეკუჭნავეები, ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმებისა და დამხმარე საწარმოთა გამგეები და სხვა პირები, რომელთა საქმიანობასაც ამოწმებს სარევიზიო კომისია.

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს კოლმეურნეთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება).

3. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები, რომლებმაც ვერ გაამართლეს კოლმეურნეთა ნდობა, შეიძლება ვადამდე იქნენ გაწვეული კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებით.

4. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის წესდებით, მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

5. სარევიზიო კომისია კონტროლს უწევს კოლმეურნეობის წესდების, შინაგანაწესის დაცვას, კოლმეურნეობის გამგეობისა და თანამდებობის პირთა სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, საკოლმეურნეო ქონების დაცვა-შენახვას, ხელშეკრულებათა და სამეურნეო ოპერაციათა კანონიერებას, ფულადი სახს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვას, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების სისწორეს, აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობისა და თანამდებობის პირთა მიერ კოლმეურნეთა საჩივრებისა და განცხადებების დროულად განხილვას.

6. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია თავის მუშაობას წარმართავს კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფთან კონტაქტით, სარგებლობს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს საინსტრუქციო მითითებებით.

7. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები პასუხს აგებენ მათ მიერ გამოვლინებული იმ ბოროტმოქმედების ფაქტების განზრახ დაფარვისათვის, რომლებიც კოლმეურნეობის თანამდებობის პირებმა და მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა დაუშვეს.

II. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის საქმიანობა

8. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიას ეკისრება:

— მუდმივი კონტროლი გაუწიოს კოლმეურნეობის წესდებისა და შინაგანაწესის დაცვას;

— ყოველწლიურად მოაწყოს კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის არანაკლებ ორი რევიზია, ბრიგადების, ფერმების, სახელოსნოების, დამხმარე საწარმოებისა და სხვა საწარმოო ქვედანაყოფების სამეურნეო საქმიანობის პერიოდული შემოწმებანი; დასკვნა გააკეთოს კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის შესახებ;

— კონტროლი გაუწიოს კოლმეურნეობის ფულადი სახსრებისა და სახელმწიფო ბანკის კრედიტების დანიშნულებისამებრ გამოყენებას, დებიტორული დავალიანების დროულად და სრულად გადახდას, შეამოწმოს კოლმეურნეობის სალაროები, მოაწყოს ანგარიშვალდებულ პირებთან არსებული ფულის, დოკუმენტებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოულოდნელი რევიზიები, მონაწილეობა მიიღოს კოლმეურნეობის ქონების ინვენტარიზაციის ჩატარებაში;

— შეამოწმოს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქციის აღრიცხვის (წველადობა, პირუტყვის წონამატება, კვერცხმდებლობა, მატყლის პარსვა და ა. შ.), მარცვლეულის, ყველა სახეობის საკვების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა პროდუქციის, მინერალური და ორგანული სასუქების, საწვავ-საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების, საშენი მასალების, წვრილი ინვენტარის შემოსავალში აღების, შენახვისა და ხარჯვის სისწორის, მეურნეობისათვის ზედმეტი და არასაჭირო საქონლისა და მასალების მარაგის გამოვლინების მდგომარეობა;

— შეამოწმოს ტექნიკის შენახვისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე კოლმეურნეობაში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოვლა-პატრონობის წესის დაცვა;

— კონტროლი გაუწიოს სამუშაოთა და წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ხარისხს, მათ შესაბამისობას დადგენილი მოთხოვნებისა და სტანდარტებისადმი, გამოავლინოს უსტანდარტო პროდუქციის წარმოების ფაქტები და ამისათვის დამნაშავე თანამდებობის პირნი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეამოწმოს გამომუშავების ნორმებისა და ფასდებათა გამოყენების სისწორე, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დარიცხვისა და ანგარიშსწორების დროულობა, დაქირავებულ მუშაკებთან დადებულ ხელშეკრულებათა და შრომით შეთანხმებათა კანონიერება, კოლმეურნეობის განუყოფელი და სხვა საზოგადოებრივი ფონდების შესავსებად სახსრების გადარიცხვის, სახელმწიფო, კოოპერაციულ. საკოლმეურნეობათაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთანგარიშსწორების დასაბუთებულობა;

— სისტემატური კონტროლი გაუწიოს კოლმეურნეობის საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) გადაწყვეტილებათა შესრულებას, გამგეობისა და თანამდებობის პირთა მიერ კოლმეურნეთა წინადადებების, საჩივრებისა და განცხადებების დროულად განხილვას, შეამოწმოს საქმისწარმოება კოლმეურნეობის გამგეობასა და საწარმოო ქვედანაყოფებში, შრომისუუნარობის ფურცლებისა და საპენსიო საქმეების გაფორმების სისწორე.

9. სარევიზიო კომისია კვარტალში ერთხელ მაინც იწვევს თავის სხდომებს, რომლებზეც განიხილავს და ამტკიცებს სამუშაო გეგმებს, რევიზიათა და შემოწმებათა აქტებს, აგრეთვე სხვა საკითხებს. სარევიზიო კომისიის სხდომათა გადაწყვეტილებანი ფორმდება ოქმებით.

აქტებით გაფორმებული რევიზიათა ან შემოწმებათა შედეგები სარევიზიო კომისიის წინადადებებთან ერთად გააქვთ კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების), კოლმეურნეობის გამგეობის ან საწარმოო ქვედანაყოფების (განყოფილებების, საწარმოო უბნების, ბრიგადების, ფერმების) კოლმეურნეთა კრების განსახილველად. კოლმეურნეთა საერთო კრებაზე (რწმუნებულთა კრებაზე) შეტანილი სარევიზიო კომისიის აქტები და წინადადებანი განიხილება მორიგ კრებაზე, კოლმეურნეობის გამგეობის განსახილველად შეტანილი — 10 დღის განმავლობაში, ხოლო საწარმოო ქვედანაყოფების კოლმეურნეთა კრების განსახილველად შეტანილი — ერთი თვის ვადაში.

გაფლანგვა-დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა გამოვლინებისას სარევიზიო კომისია კოლმეურნეობის გამგეობის მეშვეობით იღებს ზომებს, რათა კოლმეურნეობას აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური ზარალი და დამნაშავენი მიეცნენ პასუხისგებაში, ხოლო საჭირო შემთხვევებში აცნობებს ამის შესახებ ზემდგომ და საგამომძიებლო ორგანოებს.

10. სარევიზიო კომისია არ ერევა კოლმეურნეობის გამგეობის ოპერატიულ საქმიანობაში, არ მონაწილეობს იმ დოკუმენტების გაფორმებაში, რომლებიც ფულადი სახსრების, პროდუქტების, მასალების, პირუტყვის, ფრინველისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა მიღებას, გაყიდვასა და ჩამოწერას შეეხება.

III. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის უფლებანი

11. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს:

— დაათვალიეროს და შეამოწმოს საწყობები, სალარო, ფერმები, სხვა საწარმოო ქვედანაყოფები და ნაგებობანი;

— მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და კოლმეურნეობის სხვა წევრებს შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები, მატერიალურ-ფულადი სახსრების აღრიცხვის წიგნები, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი;

— შეიტანოს შემოწმებათა და რევიზიათა შედეგების მიხედვით წინადადებანი საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) და კოლმეურნეობის გამგეობის განსახილველად;

— მიიზიდოს რევიზიებსა და შემოწმებებში მონაწილეობისათვის კოლმეურნეობის სპეციალისტები, ხოლო საჭიროების კვალობაზე — მიიწვიოს გარედან სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანოთა კვალიფიციური მუშაკები;

— იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას გამოვლინებული დარღვევები და ნაკლოვანებები, მოსთხოვოს კოლმეურნეობის გამგეობას კოლმეურნეობის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მოწვევა;

— მონაწილეობა მიიღოს კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტურ შემოწმებებში, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანოები აწყობენ;

— მიიღოს კოლმეურნეთაგან საჩივრები და განცხადებანი გამგეობის წევრთა და კოლმეურნეობის სხვა თანამდებობის პირთა არასწორი მოქმედების თაობაზე და კოლმეურნეობის გამგეობის ან კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მეშვეობით განახორციელოს მათ გამო საჭირო ღონისძიებანი.

12. სარევიზიო კომისიის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

IV. სარევიზიო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და სხვა საკითხები

13. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს კოლმეურნეობის გამგეობა რევიზიათა და შემოწმებათა პერიოდში ათავისუფლებს ძირითად სამუშაოზე მოვალეობის შესრულებისაგან.

14. კოლმეურნეობის გამგეობა საჭირო დახმარებას უწევს სარევიზიო კომისიას მუშაობაში — გამოუყოფს ტრანსპორტს, სადგომებს, საკანცელარიო ნივთებს და ა. შ.

15. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მიერ რევიზიათა და შემოწმებათა ჩასატარებლად დახარჯული დრო ნაზღაურდება მოცემული კოლმეურნეობის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების დონეზე, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება — საკოლმეურნეო წარმოებაში მათი საშუალო გამომუშავების დონეზე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დებულებაში.

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის განთავისუფლებული თავმჯდომარის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება კოლმეურნეობის საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) დადგენილებით, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს მოცემული კოლმეურნეობის თავმჯდომარის განთავისუფლებული მოადგილის ან მთავარი (უფროსი) სპეციალისტის შრომის ანაზღაურებას.

16. ამ სანიმუშო დებულების საფუძველზე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, თითოეულ კოლმეურნეობაში მუშავდება კონკრეტული დებულება სარევიზიო კომისიის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება).

6 ორივე ხელის ან ორივე ფეხის არმქონე ინვალიდებისათვის საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ორივე ხელის ან ორივე ფეხის არმქონე შრომისა და ბავშვობიდან ინვალიდებს მიენიჭოთ ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) უფასო მგზავრობის უფლება.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ გააცნონ ეს დადგენილება სათანადო სატრანსპორტო ორგანიზაციებს.

3. ორივე ფეხის არმქონე ინვალიდებმა საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) უფასოდ სარგებლობისათვის უნდა იქონიონ სათანადო მოწმობები, რომლებსაც გასცემენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 400 დადგენილება „ორივე ხელის არმქონე ინვალიდებისათვის საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 18 იანვარი, № 19.

7 აკრძალული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების სიაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„მოხუცებულობის გამო პენსიონერებისა და ინვალიდების შრომის სახალხო მეურნეობაში გამოყენების გაუმჯობესებისათვის შემდგომი ზომების მიღებისა და ამასთან დაკავშირებით დამატებითი შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 14 სექტემბრის № 674 დადგენილების მე-14 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „ცალკეული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 თებერვლის № 113 დადგენილების 1 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს რეწვის შემდეგი სახეობანი: „საამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათო ყუთების დამზადება"; „ტანსაცმლის, ნართისა და ტყავის ნაკეთობისა ქიმიური წმენდა და შეღებვა"; „აგურის, კრამიტისა და კირის დამზადება"; „ტანსაცმლისა და თავსამკაულის შეკერვა"; „ფეხსაცმლის შეკეთება".

2. „აკრძალულ კუსტარულ სარეწთა სიაში ცვლილებათა შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 მარტის № 122 დადგენილების მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს ბოლო აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 18 იანვარი, № 24.

8 გარდაბნის რაიონის ადმინისტრაციული დაქვემდებარეებიდან მცხეთის რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარეებაში დიღმის, ლისისა და გლდანის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გარდაბნის რაიონული ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორების გამო, გამოეყოს დიღმის, ლისისა და გლდანის სასოფლო საბჭოები გარდაბნის რაიონს და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს შემდეგი ცვლილებებით:

გლდანის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლები ლენინისი და წითელუბანი ადმინისტრაციულად დაექვემდებარონ გარდაბნის რაიონის ნორიოს სასოფლო საბჭოს.

2. წარედგინოს ბრძანებულების სათანადო პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 25 იანვარი, № 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა კრებულის გამოცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთავრობამ, გაითვალისწინა რა შავი ზღვის სანაპიროს ბუნებრივი რესურსებისა და სამკურნალო ფაქტორების განსაკუთრებული მნიშვნელობა, სხვადასხვა დროს მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა მიერ მიწათსარგებლობის წესების დარღვევისა და სანაპიროზე თვითნებური ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ.

მხედველობაში იღებს რა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სურვილს, რომელსაც მხარს უჭერენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ხელმძღვანელი ორგანოები, იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია გამოიცეს აღნიშნულ დადგენილებათა კრებული მათი გამოყენების გაადვილების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას გამოსცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1960—1973 წლებში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა კრებული, ამონაწერების სახით, დანართის თანახმად.

2. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 იანვრის № 23 დადგენილების — „ქ. სოხუმში თვითნებური ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ და 1969 წლის 29 აპრილის № 239 დადგენილების — „ქ. სოხუმში თვითნებურ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები“ — ზოგიერთმა პუნქტმა პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგა, ვინაიდან გამოყენებული უნდა ყოფილიყო იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებმაც აღნიშნულ დადგენილებათა მიღებამდე ააშენეს თვითნებურად სახლები, ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 16 იანვრის № 23 დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 აპრილის № 239 დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტები.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 17 მარტის სხდომის № 7/III საოქმო გადაწყვეტილება „საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს 3-კილომეტრიან ზონაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 25 იანვარი, № 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ რ ე ბ უ ლ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც მიღებულია 1960-1973 წლებში

(ამონაწერები)

I. მ ი წ ა თ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა

1. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს განაშენიანების მოწესრიგების შესახებ

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 ოქტომბრის № 705 დადგენილება)

(ამონაწერი)

7. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების, აჭარის ასსრ ქობულეთისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებს გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა მცირემიწიანობა ამ რაიონებში და შეზღუდონ ახალ წევრთა მიღება ამ კოლმეურნეობებში.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს თვითნებურ მენაშენეთა და მიწათსარგებლობის კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭოთა კანონის მთელი სისასტიკით დასაჯონ დამნაშავენი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად.*)

11. გაფრთხილება მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, რომ თუ ისინი შემდეგშიაც დაუშვებენ მიწის ნაკვეთების უკანონოდ გამოყოფას ინდივიდუალური მშენებლობისათვის, მათ დაედებათ მკაცრი სასჯელი თვით სამუშაოდან მოხსნამდეც კი.

---

2. საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ

(საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილება)

(ამონაწერი)

10. შეწყდეს მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში,

*) იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180 მუხლი.

მუსიკ ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავში, ბორჯომში, წყალტუბოში, გაგრაში, გუდაუთაში, ქობულეთში და ქალაქის ტიპის დაბა ბაკურიანსა და ახალ ათონში, აგრეთვე კრედიტის მიცემა ამ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების ინდივიდუალური მენაშენეებისათვის.

---

3. შავი ზღვის ნაპირების ნგრევისაგან დაცვის და შავი ზღვის სანაპიროს კურორტების ტერიტორიის რაციონალურად გამოყენების გადაუდებელი ზომების შესახებ

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 მარტის № 122 დადგენილება)

(ამონაწერი)

9. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ლანჩხუთის, მახარაძის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეწყვიტონ თვითნებური საბინაო მშენებლობა, გააძლიერონ კონტროლი კურორტების ტერიტორიის განაშენიანებისა და საკურორტო რაიონებში მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის დადგენილი წესის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ სახმშენმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა კონტროლი გაუწიონ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებას.

13. ვინაიდან განსაკუთრებული ღირებულება აქვს შავი ზღვის სანაპიროს ბუნებრივ რესურსებსა და სამკურნალო ფაქტორებს, დაწესდეს, რომ შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორია გამოყენებულ უნდა იქნეს ძირითადად კურორტების, დასვენებისა და ტურიზმის ზონების განსავითარებლად, ამასთან უნდა აშენდეს უპირატესად საკურორტო კომპლექსები მკურნალობისა, დასვენებისა და ტურიზმისათვის და მოეწყოს მათი ცენტრალიზებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მომსახურება.

ამასთან დაკავშირებით აიკრძალოს შავი ზღვის სანაპიროს 3-კილომეტრიან ზონაში სამრეწველო საწარმოებისა და სხვა ისეთი ობიექტების მშენებლობა, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კურორტების განვითარებასთან და მომსახურებასთან (გარდა საზღვაო ნავსადგურებისა და საზღვაო ტრანსპორტის სხვა ობიექტებისა, თევზის მრეწველობისა, სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის ობიექტებისა, რაც საჭიროა ნაპირსამაგრ და მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობისათვის), აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

II. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა

1. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს განაშენიანების მოწესრიგების შესახებ

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 ოქტომბრის № 705 დადგენილება)

(ამონაწერი)

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის რაიონებისა და ქ. ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ბ) გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა ქალაქების, რაიონების, დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესების დარღვევის და თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ როგორც საკურორტო ზონებში, ისე მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, და მკაცრი კონტროლი გაუწიონ ამ მიწების დაცვას;

ვ) შეამოწმონ და გამოავლინონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ ნებართვების უკანონოდ გაცემის, მიწის ნაკვეთების დატაცების, ამ ნაკვეთებზე შენობების აგების ფაქტები და მისცენ დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში;

ზ) განახორციელონ გადაუდებელი ზომები საპლაჟო ზოლის და მისი მიმდებარე ტერიტორიების სანიტარიული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, არ დაუშვან მათი დანაგვიანება და გაათავისუფლონ ეს ტერიტორიები უპროექტო შენობებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, საწყობებისაგან და ა. შ.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს თვითნებურ მენაშენეთა და მიწათსარგებლობის კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭოთა კანონის მთელი სისასტიკით დასაჯონ დამნაშავენი.

---

2. აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმში თვითნებური და უპროექტო ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფაქტების შესახებ

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 39 დადგენილება)

(ამონაწერი)

სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის და ყოფილი რაიონული საბჭოს აღმასკომის, აგრეთვე მილიციის ორგანოების უპასუხისმგებლობისა და წაყრუების შედეგად, ქ. სოხუმში ადგილი ჰქონდა მასობრივ თვითნებურ და უპროექტო ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას. უკანასკნელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებში ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე თვითნებურად და უპროექტოდ აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომლებშიც გაუწერავად ცხოვრობს 1500 ოჯახი, რის შედეგადაც 6000-მდე კაცი არსად არ არის აღრიცხული.

ვინაიდან კანონიერი ზომების გამოყენება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც თვითნებურად და უპროექტოდ ააშენეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები ქალაქ სოხუმში, გამოიწვევს ამ სახლებიდან 1500 ოჯახის გამოსახლებას, რომლებისთვისაც შეუძლებელია შესაფერისი საცხოვრებელი ფართობის მიცემა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) დაავალოს სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

გააფრთხილოს მოქალაქენი, რომლებმაც თვითნებურად ააშენეს უპროექტო სახლები, რომ მათ შეუძლიათ იცხოვრონ ამ ნაგებობებში, თუ არ იქნა გამოტანილი სასამართლო ორგანოების სხვა რაიმე გადაწყვეტილება, მანამ, ვიდრე საჭირო არ გახდება იმ ნაკვეთების ჩამორთმევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, რომლებზედაც აშენებულია სახლები, და რომ მათ უფლება არა აქვთ განასხვისონ რაიმე ფორმით აღნიშნული შენობები;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ აანაზღაურონ მიტაცებული ნაკვეთების ჩამორთმევის დროს ამ ნაკვეთებზე არსებული ხილ-კენკრის ნარგავები და უპროექტოდ აშენებული შენობები.

არ აანაზღაურონ აგრეთვე უპროექტო ნაგებობათა ღირებულება, რომლებიც გაშენებულია მოქალაქეებისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილ ნაკვეთებზე, თუ მოხდა ამ ნაკვეთების ჩამორთმევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

---

3. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილება)

(ამონაწერი)

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაუქმდეს იქ, სადაც ამას ადგილი ჰქონდა, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რისთვისაც:

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 მარტის № 167 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად ქალაქ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ბორჯომში, წყალტუბოში, გაგრაში, გუდაუთაში, ქობულეთში და ქალაქის ტიპის ოაბა ბაკურიანსა და ახალ ათონში ნება დაერთოთ მოქალაქეებს, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებენ, აწარმოონ იმ სახლებზე დაშენება, რომლებიც მათ პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა მესაკუთრის ოჯახის ერთად მცხოვრები წევრების მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა მენაშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეების მონაწილეობის გარეშე, ამასთან დაიცვან ქალაქმშენებლობის ნორმები და წესები და საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 104 მუხლის მოთხოვნები;

გ) ნებადართულ იქნეს რესპუბლიკის ყველა ქალაქში (გარდა ქ. თბილისისა), რომლებშიც აკრძალულია მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, იმ სახლების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების წარმოება, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ისეთ ზონაში, სადაც არ ჩატარდება რეკონსტრუქცია პირველ რიგში, ესე იგი უახლოესი 10 წლის განმავლობაში, ხოლო გაფართოება და რეკონსტრუქცია წარმოებს მხოლოდ მესაკუთრის ოჯახის ერთად მცხოვრებ წევრთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სხვა მენაშენეების მონაწილეობის გარეშე, ქალაქმშენებლობის წესებისა და საცხოვრებელი ფართობის იმ ნორმების დაცვით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 104 მუხლით.

---

4. ქ. სოხუმში თვითნებური ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 16 იანვრის № 23 დადგენილება)

(ამონაწერი)

აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 39 დადგენილებიდან „აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმში თვითნებური და უპროექტო ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფაქტების შესახებ“, რის შედეგადაც 1963-1967 წლების პერიოდში ქალაქ სოხუმში დაშვებულია 195 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის თვითნებური და უპროექტო მშენებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა მიწების მიტაცებისა და თვითნებური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ მიიღონ დამნაშავეთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები.

მუზ. 9
ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. ქ. სოხუმში თვითნებურ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 აპრილის № 239 დადგენილება)

(ამონაწერი)

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიიღონ გადამწყვეტი ზომები თვითნებური მშენებლობის შემთხვევების დროულად აღკვეთისათვის და დაუყოვნებლივ აცნობონ საგამომძიებლო ორგანოებს იმ პირთა ვინაობა, რომლებიც თვითნებურად აშენებენ სახლებს, მათ მისაცემად პასუხისგებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების სამოქმედოდ შემოღების ვადის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 11 ივნისის № 385 დადგენილების შესაცვლელად დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების სამოქმედოდ შემოღების ვადად 1975 წლის 1 იანვარი, ნაცვლად 1974 წლის 1 იანვრისა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს (ამხ. თ. ნ. დავითაშვილი) წარუდგინოს 1974 წლის 1 ივნისამდე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1975 წლის 1 იანვრიდან ტვირთზიდვის ახალი ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით ამონაგების ცვლილების გაანგარიშება.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ასახონ 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებში საავტომობილო ტვირთზიდვის ტარიფების ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა შემოსავალ-გასავლის გეგმებსა და ბალანსებში მომხდარი ამონაგების ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 იანვარი, № 36.

11 საქართველოს სს რესპუბლიკაში კოოპერაციული სახლების ექსპლუატაციისა და მომსახურების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, რომლებსაც აქვთ კოოპერაციული საბინაო ფონდი, ვერ უზრუნველყვეს ამ სახლების მომსახურება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 1 ივლისის № 346 დადგენილებით დამტკიცებული „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებისა“ და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „სახლთმმართველობების (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების) მიერ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მომსახურების პირობებისა და წესის დებულების“ შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამისად, ხოლო საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ თვალყური არ ადევნა აღნიშნული ღონისძიების შესრულებას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციისა და მომსახურების მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომლებსაც აქვთ კოოპერაციული საბინაო ფონდი:

ა) განახორციელონ, მოყოლებული 1974 წლის პირველი კვარტალიდან, მოქმედი სახლთმმართველობების (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების) ძალებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ამ კოოპერატივების საბინაო ფონდისა და სახლთმფლობელობათა ტერიტორიის მომსახურება სახელმწიფო საბინაო ფონდის თანაბარ პირობებში, ამასთან კოოპერატივებმა აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აანაზღაურონ იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ დაწესებულია სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების მომსახურებისათვის;

საჭირო შემთხვევებში შექმნან დადგენილი წესით ახალი სახლთმმართველობები (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები) ექსპლუატაციაში არსებული და ერთ მიკრორაიონში ტერიტორიულად კომპაქტურ ჯგუფად განლაგებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მომსახურებისათვის, თუ მათი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა აკმაყოფილებს ახალი სახლთმმართველობების (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების) შექმნის ნორმატიულ მოთხოვნებს;

ბ) სახლთმმართველობების (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების) კატეგორიებისადმი მიკუთვნებისას გაითვალისწინონ კოოპერაციული საბინაო ფონდი, რომელსაც ისინი ემსახურებიან;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაცია გეგმიან-გამაფრთხილებელი და მიმდინარე რემონტის სწორი ორგანიზაციის გზით, და უმოკლეს ვადაში დაამყარონ ჯეროვანი წესრიგი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის საქმეში;

დ) გაითვალისწინონ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა გეგმებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრების ხარჯზე კოოპერაციული საბინაო ფონდის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობა.

2. ნება დაერთოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილოს საჭიროების შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოსთან შეიქმნას სარემონტო-სამშენებლო კანტორა, რომელსაც ამასთან დაეკისროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერაციული სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის წარმოება კოოპერატივებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ საბინაო ორგანოები, განახორციელონ საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციების საბინაო-კომუნალურ განყოფილებათა ძალებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ამ კოოპერატივების საბინაო ფონდისა და სახლთმფლობელობათა ტერიტორიის მომსახურება, ამასთან კოოპერატივებმა აანაზღაურონ აღნიშნული მომსახურების ხარჯები სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების მომსახურებისათვის დაწესებული პირობების მიხედვით.

4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ათი დღის ვადაში გადასინჯოს სახლთმმართველობების მიერ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მომსახურების პირობებისა და წესის დებულება, შეიტანოს მასში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს იგი.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საბინაო მეურნეობის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხოვნობის, შრომის ლიმიტებისა და აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა განსაზღვრისას გაითვალისწინონ სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებული კოოპერაციული საბინაო ფონდი.

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ყოველწლიურად, მოყოლებული 1974 წლიდან, წარუდგინოს მეორე კვარტალის ბოლომდე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მონაცემები საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების არსებული სახლების შესახებ, რომლებშიც აღნიშნოს მათი აღდგენითი (საბალანსო) ღირებულება, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის ოდენობა ამ სახლების რემონტისა და მოვლა-პატრონობისათვის მატერიალური რესურსების გამოსაყოფად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ გაითვალისწინონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წლიური გეგმების პროექტებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა იმ ნორმებისა და ფასების მიხედვით, რაც დაწესებულია სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების რემონტისათვის.

8. რჩევა მიეცეთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს დაუდონ 1974 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე შესაბამის სახლთმმართველობებს (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებს) ხელშეკრულებანი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მომსახურების თაობაზე, ამასთან უზრუნველყონ მომსახურების დროულად ანაზღაურება დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

9. ვინაიდან ამ დადგენილებით კოოპერაციული სახლების მომსახურებისათვის გათვალისწინებული ამოცანების შესრულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს აპარატს აკისრებს ახალ მოვალეობებს ამ მუშაობისადმი ჯეროვანი ხელმძღვანელობისა და კონტროლის განსახორცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელებლად, შეიქმნას აღნიშნული სამინისტროს საბინაო-სასტუმრო მეურნეობის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში საქართველოს სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისადმი ხელმძღვანელობის განყოფილება ოთხი საშტატო ერთეულის ოდენობით სამინისტროსათვის დამტკიცებული მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 29 იანვარი, № 47.

12 1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული მანქანებისა და მოწყობილობის ახალი საბითუმო ფასების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებსა და კაპიტალური მშენებლობის გეგმებში აღრიცხვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეგზავნოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 დეკემბრის № 882 დადგენილება „1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული მანქანებისა და მოწყობილობის ახალი საბითუმო ფასების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებსა და კაპიტალური მშენებლობის გეგმებში აღრიცხვის წესის შესახებ“ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 დეკემბრის № 882 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ მითითებათა საფუძველზე უზრუნველყონ 1976 წლისათვის გარდამავალ მშენებლობებზე მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშება და 1976 წელს ახლად დასაწყებ მშენებლობებზე მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშება. აღნიშნული გადაანგარიშება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მანქანებისა და მოწყობილობისათვის, რომელთა საბითუმო ფასები შეცვლილია.

აიკრძალოს მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშებისას ხარჯთაღრიცხვებში ისეთ ცვლილებათა შეტანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც დაკავშირებული არაა ამ მანქანებისა და მოწყობილობის ახალი საბითუმო ფასების შემოღებასთან.

დაევალოთ შემკვეთ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაამტკიცონ მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომლებიც გადაანგარიშებულია ახალი საბითუმო ფასების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 დეკემბრის № 882 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ მითითებათა საფუძველზე.

იმ შემთხვევებში, როცა ახალი საბითუმო ფასების მიხედვით მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების პროცესში საჭირო გახდება მშენებლობათა დამტკიცებულ პროექტებში ცვლილებების შეტანა წარმოებიდან მოხსნილი მანქანებისა და მოწყობილობის სხვა მანქანებითა და მოწყობილობით შეცვლასთან დაკავშირებით, ეს ცვლილებები ცალკე უნდა აღირიცხოს; ასეთი მშენებლობებისათვის ხარჯთაღრიცხვებს ხელახლა ამტკიცებენ დადგენილი წესით საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების პერიოდში შერჩევით შეამოწმონ გადაანგარიშების სისწორე და ოპერატიულად აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა 1975 წლის 1 იანვრამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას მონაცემები მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების შედეგების შესახებ და წინადადებანი მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების შესახებ სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების მიხედვით და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსების შესახებ.

იმ შემთხვევებში, თუ ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშების შედეგად მანქანებისა და მოწყობილობის საბითუმო ფასების შემცირების ეკონომია საფინანსო გეგმაში აღრიცხული მანქანებისა და მოწყობილობის საბითუმო ფასების

მუხ. 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემცირების ეკონომიაზე ნაკლები იქნება, უნდა განიხილონ ამ სხვაობათა მიზეზები და ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშების შედეგებთან და ინდექსების პროექტებთან ერთად წარადგინონ შესაბამისი წინადადებანი.

საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ განიხილონ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ აღნიშნულ საკითხებზე წარდგენილი წინადადებანი და 1975 წლის 25 იანვრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების შესახებ სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსების შესახებ, რათა შემდგომ წარუდგინოს ისინი სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სსრ კავშირის მშენბანკს.

5. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიწვიონ 1974-1975 წლებში მოხუცებულობის გამო პენსიონერები ამ დადგენილების შესაბამისად მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების სამუშაოთა შესასრულებლად 6 თვემდე ვადით კალენდარული წლის განმავლობაში და გადაუხადონ მათ აღნიშნული პერიოდის მანძილზე პენსიები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 995 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 30 იანვარი, № 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 882

1973 წლის 7 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული მანქანებისა და მოწყობილობის ახალი საბითუმო ფასების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებსა და კაპიტალური მშენებლობის გეგმებში აღრიცხვის წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1976 წლის 1 იანვრიდან, კაპიტალურ მშენებლობაში გამოყენებული მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა განისაზღვროს 1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული მანქანათმშენებლობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების საფუძველზე.

მანქანებისა და მოწყობილობის ახალი საბითუმო ფასების შემოღებით მიღწეული ეკონომია 1974 და 1975 წლებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმებში.

შენარჩუნებულ იქნეს 1974-1975 წლებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 19 მაისის № 358 დადგენილების მე-9 პუნქტით დადგენილი წესი, რომ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული ეკონომია განისაზღვროს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხოს არაცენტრალიზებული წარმოების ხარჯზე დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობაში გამოყენებული მანქანების, მოწყობილობისა და მასალების ახალი საბითუმო ფასების 1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით.

მანქანების, მოწყობილობისა და მასალების საბითუმო ფასების შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანის წესს კოლმეურნეობების მიერ განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშაონ სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მონაწილეობით და დაამტკიცონ 1973 წლის 25 დეკემბრამდე მითითებანი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა:

გადაანგარიშდეს 1976 წლისათვის გარდამავალ მშენებლობებზე მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთები და მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1976 წელს ახლად დასაწყებ მშენებლობებზე, რომლებისთვისაც აღნიშნული ღირებულება დამტკიცებულია 1969 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებში, ამასთან გაითვალისწინონ ხსენებულ მითითებებში, რომ მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშება, როგორც წესი, უნდა მოხდეს 1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული საბითუმო ფასების მიხედვით პირდაპირი გადაანგარიშების გზით;

განისაზღვროს მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო თვითღირებულების ცვლილების ინდექსები და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსები, რომლებიც საჭიროა მანქანებისა და მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადასაანგარიშებლად.

3. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ მითითებათა საფუძველზე უზრუნველყონ 1975 წლის 1 იანვრამდე მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშება 1976 წლისათვის გარდამავალ მშენებლობებზე და მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშება 1976 წელს ახლად დასაწყებ მშენებლობებზე. მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მანქანებისა და მოწყობილობისათვის, რომელთა საბითუმო ფასები შეცვლილია.

აიკრძალოს მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშებისას ხარჯთაღრიცხვებში ისეთ ცვლილებათა შეტანა, რომლებიც დაკავშირებული არაა ამ მანქანებისა და მოწყობილობის ახალი საბითუმო ფასების შემოღებასთან.

დაევალოთ შემკვეთ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაამტკიცონ მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომლებიც გადაანგარიშებულია ახალი საბინაო ფასების მიხედვით ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ მითითებათა საფუძველზე.

იმ შემთხვევებში, როცა ახალი საბითუმო ფასების მიხედვით მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების პროცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სში საჭირო გახდება მშენებლობათა დამტკიცებულ პროექტებში ცვლილებების შეტანა წარმოებიდან მოხსნილი მანქანებისა და მოწყობილობის სხვა მანქანებითა და მოწყობილობით შეცვლასთან დაკავშირებით, ეს ცვლილებები ცალკე უნდა აღირიცხოს; ასეთი მშენებლობებისათვის ხარჯთაღრიცხვებს ხელახლა ამტკიცებენ დადგენილი წესით სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

4. დაეკისროთ სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს პასუხისმგებლობა მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორად გადაანგარიშებისათვის, რაც ამ დადგენილების შესაბამისად განხორციელდება. სსრ კავშირის მშენბანკმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა კონტროლი გაუწიონ მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორად გადაანგარიშებას.

სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების პერიოდში შერჩევით შეამოწმონ გადაანგარიშების სისწორე და ოპერატიულად აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი.

5. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1975 წლის 1 თებერვლამდე წარუდგინონ სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სსრ კავშირის მშენბანკს მონაცემები მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების შედეგების შესახებ და წინადადებანი მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების შესახებ სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების მიხედვით და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსების შესახებ.

იმ შემთხვევებში, თუ ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშების შედეგად მანქანებისა და მოწყობილობის საბითუმო ფასების შემცირების ეკონომია საფინანსო გეგმაში აღრიცხული მანქანებისა და მოწყობილობის საბითუმო ფასების შემცირების ეკონომიაზე ნაკლები იქნება, უნდა განიხილონ ამ სხვაობათა მიზეზები და ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშების შედეგებთან და ინდექსების პროექტებთან ერთად წარადგინონ შესაბამისი წინადადებანი.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და სსრ კავშირის მშენბანკმა განიხილონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ აღნიშნულ საკითხებზე წარდგენილი წინადადებანი, დაამტკიცონ მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსები და წარმოუდგინონ 1975 წლის 1 მარტისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება ამ საკითხზე შესაბამისი **წინადადებებითურთ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშაოს და 1975 წლის 1 მარტამდე აცნობოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მითითებანი 1976 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების აღრიცხვის წესის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით გადაიანგარიშოს მანქანებისა და მოწყობილობის დანახარჯები ახალი საბითუმო ფასების მიხედვით და შესაბამისად გადაიანგარიშოს კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობანი სახალხო მეურნეობის დარგების, მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით 1971, 1972, 1973 და 1974 წლებისათვის და ამ გადაანგარიშების მონაცემები აცნობოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1975 წლის 1 ივნისამდე.

7. ნება დაერთოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიიწვიონ 1973-1975 წლებში მოხუცებულობის გამო პენსიონერები ამ დადგენილების შესაბამისად მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების სამუშაოთა შესასრულებლად 6 თვემდე ვადით კალენდარული წლის განმავლობაში და გადაუხადონ მათ აღნიშნული პერიოდის მანძილზე პენსიები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 995 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

8. 1973 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებულ ფასებში მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშებასთან დაკავშირებული ხარჯები გაღებულ იქნეს კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი საერთო ასიგნებებიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **კ. მაზუროვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

13 ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ

დიდი იდეური, მეცნიერული და მხატვრული ღირებულების ლიტერატურული ნაშრომების შემქმნელ ავტორთა წახალისების, ლიტერატურის ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო ჰონორარისა და ამ ნაწარმოებთა რედაქტირებისა და რეცენზირებისათვის გასამრჯელოს გაცემის შემდგომი მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. დაწესდეს ლიტერატურის ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო ჰონორარისა და რედაქტორთა, რეცენზენტთა, კონსულტანტთა და ბწკარედი თარგმანის განმხორციელებელ პირთა გასამრჯელოს შემდეგი განაკვეთები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაწარმოებებისათვის:

ლიტერატურის სახეობა	ტირაჟი (ათასი ცალი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
ჩვეულებრივი გამოცემანი			
1. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, ნარკვევები და მემუარები, პიესები, კინოსცენარები)	10	150, 175, 200, 225, 300, 400	
2. მხატვრული მოთხრობა ან ნარკვევი მოცულობით ერთ საავტორო თაბახამდე	—	—	150, 200, 250, 300, 400
3. ერთაქტიანი პიესა	—	—	200, 300, 400
4. ლიტერატურული მინიატიურები .	—	—	20, 40, 60, 80, 100
5. ხალხური შემოქმედების პროზაულ ნაწარმოებთა დამუშავება . . .	—	50, 75, 100, 120	—
6. პოეზია, მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები (სტრიქონში) . .	7	0,7; 1,0; 1,2; 1,4; 1,7; 2,0	—
7. ლექსი 30 სტრიქონამდე და სასიმღერო ლექსის ტექსტი, მიუხედავად მოცულობისა	—	—	30, 60, 100, 150, 200
8. ეპიგრამა, ლექსის ტექსტი პლაკატისათვის	—	—	10, 30, 60
9. ხალხური შემოქმედების პოეტურ ნაწარმოებთა დამუშავება (სტრიქონში)	—	0,3; 0,4; 0,5	—
10. ნაწარმოებნი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის (პროზად — 1 საავტორო თაბახამდე, ლექსად — 100 სტრიქონამდე)	25	—	150, 200, 250, 300, 400
11. ლიტერატურის ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა და დამუშავება ბავშვებისათვის:			
ა) 1 საავტორო თაბახამდე . .	25	—	75, 100, 125, 150, 200
ბ) 1 საავტორო თაბახზე მეტი .	15	75, 100, 125, 150, 200	—
12. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის	20	100, 150, 200 250	—
13. ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები, აგრეთვე წინასიტყვაობანი, ბოლოსიტყვაობანი, შესავალი სტატიები ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებებისათვის	10	150, 200, 225, 300, 400	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის სახეობანი	ტირაჟი (ათასი ცალი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
14. ლიტერატურულ-კრიტიკული რეცენზიები (0,5 საავტორო თაბახამდე) .	—	—	100, 125,150,175, 200
მასობრივი გამოცემანი			
15. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, ნარკვევები და მემუარები, პიესები, კინოსცენარები)	30 - 50	250, 300, 400	—
16. პოეზია, მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები (სტრიქონში) . .	8 - 15	1,0; 1,2; 1,4; 1,7; 2,0	—
17. ლიტერატურის ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა და დამუშავება ბავშვებისათვის:			
ა) 1 საავტორო თაბახამდე . .	30—50	—	100, 125, 150, 200
ბ) 1 საავტორო თაბახზე მეტი .	25—50	100, 125, 150, 200	—
18. ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები . .	15—25	200. 225, 300, 400	—
19. ნაწარმოებნი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის (პროზად—1 საავტორო თაბახამდე, ლექსად—100 სტრიქონამდე)	30—50	—	200, 250, 300, 400
20. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის	25—40	150, 200, 250	—
21. ნაწარმოებნი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის:			
ა) პროზა	25—50	225, 250, 300, 400	—
ბ) პოეზია (სტრიქონში) . . .	20—40	1,2; 1,4; 1,7; 2,0	—
22. „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიის წიგნები:			
ა) პროზა	25—50	200, 300, 400	—
ბ) პოეზია (სტრიქონში) . . .	20—40	1,2; 1,4; 1,7; 2,0	—
23. ბუკლეტები (ტურისტული და სხვა):			
ა) 1,5 თაბახამდე	—	—	100—180
ბ) 2,0 თაბახამდე	—	—	150 - 250

შენიშვნები:

1. მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9 და მე-14 პუნქტებში აღნიშნული საავტორო ჰონორარის განაკვეთები წესდება ტირაჟის მიუხედავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. უმაღლესი განაკვეთი წესდება მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის.

3. ლიტერატურულ მინიატიურებს განეკუთვნება აფორიზმები, იგავ-არაკები პროზად, რეპრიზები, ხუმრობანი, ანეკდოტები, პარადოქსები, ეგრეთ წოდებული „მოსწრებული სიტყვები“ და სხვანი. მოკლე მოთხრობები და ლექსები, ეპიგრამები, სიმღერათა ტექსტები და სხვა ნაწარმოებნი, რომელთა ასანაზღაურებლადაც დაწესებულია სპეციალური განაკვეთები, არ შეიძლება ანაზღაურდეს როგორც ლიტერატურული მინიატიურები;

ბ. ორიგინალური პოლიტიკური, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის:

ლიტერატურის სახეობა	პონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი)	პონორარის განაკვეთი მანეთობით ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
1. ლიტერატურა მეცნიერულ-თეორიულ საკითხებზე, მონოგრაფიები ცოდნის ყველა დარგში, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის გარდა	150—300	—
2. მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურა	100—250	—
3. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში (გარდა მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურისა ბავშვებისათვის)	100—300	—
4. სამეცნიერო-საგანმანათლებლო, საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურა ცოდნისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის ლიტერატურა მოწინავე გამოცდილების გაზიარების საკითხებზე; სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ცნობარები, სტატისტიკური კრებულების, კალენდარ-ცნობარების, მოწყობილობის ცნობარ-კატალოგების, მეგზურების ჩათვლით, აგრეთვე სხვა ლიტერატურა . . . . . , ,	80—200	—
5. სასწავლო ლიტერატურა:		
ა) სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის .	150—250	—
ბ) დამხმარე სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის . . . . . ,	100—200	—
გ) სახელმძღვანელოები საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის . . . . . , ,	100—200	—
დ) დამხმარე სახელმძღვანელოები საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის	100—150	—
ე) ლექციები და ლექციათა კურსები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის	100—150	—
ვ) სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-IV კლასების მოსწავლეებისათვის	100—150	—
ზ) სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V-X კლასების მოსწავლეებისათვის	100—200	—
თ) სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის, ბრიგადულ-ინდივიდუალური მოწაფეობისა და კურსებისათვის	100—200	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის სახეობა	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით ნაწარმოებისათვის (აკორდული)
ი) ლიტერატურა სასწავლებლებსა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მეთოდიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე	100—150	—
კ) სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურა უმაღლესი დაუსწრებელი სასწავლებლების სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი სასწავლებლების მოსწავლეებისათვის . . . . . , ,	100—140	-
ლ) პედაგოგიური ლიტერატურა მშობლებისათვის	100—150	-
მ) თვალსაჩინოებანი და კედლის ცხრილები სასწავლებლებისა და ლექციური პროპაგანდისათვის:		
ტექსტები . . . . . , ,	100—150	—
ცხრილები, მათ შიგნით არსებული ტექსტების ჩათვლით, და სურათები ზომით:		
1 ქაღალდის ფურცლისა	—	25—60
0,5-მდე ქაღალდის ფურცლისა . , ...	—	20—50
ორთოგრაფიის, მორფოლოგიის, ფონეტიკის ცხრილები (ცხრილში) . . . . . ,	—	20—40
6. სტატიები ენციკლოპედიებისა და ენციკლოპედიური ლექსიკონებისათვის:		
ა) 200 ნიშნამდე . . . . . ,	—	2-მდე
ბ) 201-დან 500 ნიშნამდე	—	1,5—5
გ) 501-დან 1000 ნიშნამდე	—	3—10
დ) 1001-დან 3000 ნიშნამდე	—	5—30
ე) 3001-დან 6000 ნიშნამდე	—	15—60
ვ) 6001-დან 10000 ნიშნამდე	—	30—90
ზ) 10001-დან 15000 ნიშნამდე	—	50—135
თ) 15001-დან 20000 ნიშნამდე	—	70—175
ი) 20001-დან 30000 ნიშნამდე	—	100—270
კ) 30001-დან 40000 ნიშნამდე	—	150—350
ლ) 40000 ნიშანზე მეტი — დამატებით ნაზღაურდება თითოეული საავტორო თაბახი	200—350	—
7. განმარტებითი ლექსიკონები, სპეციალურ ტერმინთა, სინონიმთა ლექსიკონები . . . . . , . ,	100—300	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის სახეობა	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
8. ლექსიკური და ორთოგრაფიული ლექსიკონები:		
ა) ანბანური დამწერლობის მქონე ენებისა	80—150	—
ბ) იშვიათი, ძველი, ხვეული დამწერლობის, თავისი გრაფიკის, იეროგლიფებისა და ლურსმული დამწერლობის მქონე ენებისა	100—300	—
9. შესავალი სტატიები, წინასიტყვაობანი და ბოლოსიტყვაობანი*	150—300	—
10. ორიგინალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომები, ბიბლიოგრაფიული საძიებლები, ანოტაციები, მოვლენათა კალენდრები, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატიანეები	40—100	—
11. ტექნიკური და სხვა ალბომები	100—200	—
12. მოსახევი კალენდრები:		
ა) ორიგინალური ნაწარმოებები — წერილში (ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებები ნაზღაურდება შესაბამისი განაკვეთების მიხედვით)	—	5—20
ბ) ლიტერატურული მასალის შერჩევა კალენდრისათვის, ილუსტრაციების ჩათვლით (მოსახევ ფურცელში) . . .	—	0,5—3
13. კროსვორდები, ჩაინვორდები, კრიპტოგრამები, ვიქტორინები, რებუსები, შარადები, თავსატეხები, გამოცანები	—	5—20
14. პლაკატის თემის დამუშავება, ტექსტისა და ციფრობრივი მასალის ჩათვლით, ყველა სახის პლაკატებისათვის	—	10—30
15. კომენტარები და შენიშვნები	40—120	—

შენიშვნა: შესავალ სტატიაში, წინასიტყვაობაში, ბოლოსიტყვაობაში, რომლებიც ავტორმა თავისი ნაწარმოებისათვის დაწერა, ჰონორარი გაიცემა ძირითადი ნაწარმოებისათვის დაწესებული განაკვეთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. შედგენისათვის

შედგენილ ნაწარმოებთა სახეობა	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისთვის (აკორდულად)
1. ანდაზების, ანდაზური თქმების, მოსწრებული სიტყვების კრებულები . . . . . , , ,	50, 75, 100	—
2. ენციკლოპედიური ხასიათის თემატიკური კრებულები და წიგნები ბავშვებისათვის . . . . . ,	20, 40, 80	—
3. მხატვრული ლიტერატურის ქრესტომათიები	30, 45, 60	—
4. ლიტერატურულ მასალათა კრებულები, ერთტომეულები, რჩეულ ნაწარმოებთა კრებულები და თხზულებათა კრებულები:		
ა) მეცნიერულ-ტექსტოლოგიური მომზადებით	20—50	—
ბ) ტექსტოლოგიური მომზადების გარეშე	5—40	—
5. საარქივო მასალათა კრებულები	10—30	—
6. ოფიციალურ მასალათა სისტემატიზებული კრებულები, ანოტირებული და სხვა კატალოგები	10—20	—
7. სიტყვანები ყველა სახეობის ლექსიკონებისათვის, მათ შორის სპეციალური . . . . . , ,	0,05—0,1 სიტყვაში	—
8. მცირე მოცულობის სიტყვანები (250 ტერმინამდე)	0,08—0,15 სიტყვაში	—
9. ანოტირებული სიტყვანები	0,1—0,2 სიტყვაში	—
10. ძველ ხელნაწერთა ძებნა და შერჩევა, მათი რედაქტირება და დასაბეჭდად ხელმისაწვდომ მდგომარეობაში მოყვანა . . .	40—60	—
11. რეფერატები და მიმოხილვები:		
ა) ქართული ენის ან იმ ენის წყაროებით, რომელზეც იწერება რეფერატი ან მიმოხილვა	35—60	—
ბ) უცხო ენებისა და სსრ კავშირის ხალხთა ენების წყაროებით, გარდა ქართული ენისა და იმ ენისა, რომელზეც იწერება რეფერატი ან მიმოხილვა	45—100	—
გ) შერეული წყაროებით (ქართული, სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებსა და უცხო ენებზე)	40—80	—
12. ფოტოალბომების შედგენა	40—60	—
13. ფოტოილუსტრაციათა წარწერები — ყოველ 10 წარწერაში .	—	5—10

შენიშვნა: საგანთა, სახელთა და სხვა საძიებლების შედგენა ნაზღაურდება იმ წიგნის მოცულობის შესაბამისად, რომლისთვისაც შედგენილია საძიებელი, შემდეგი გაანგარიშებით: საგანთა საძიებლები — 2-7 მანეთი წიგნის ერთ საავტორო თაბახში, სახელთა და სხვა საძიებლები — 2-4 მანეთი წიგნის ერთ საავტორო თაბახში.

როცა საძიებლები ხელახლა გამოიცემა უცვლელი სახით, ჰონორარი **არ გაიცემა.**

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. თარგმანისათვის:

ლიტერატურის სახეობა	ტირაჟი (ათასი ცალი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40000 ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
1. მხატვრული პროზა (მათ შორის მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, ნარკვევები და მემუარები, პიესები, კინოსცენარები, ლიტერატურათმცოდნეობის, კრიტიკული და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები):			
ა) ჩვეულებრივი გამოცემა . . .	10	50, 70, 100, 125, 150	—
ბ) მასობრივი გამოცემა . . .	30—50	70, 100, 125, 150	—
2. პოეზია (მათ შორის პიესები) — სტრიქონში:			
ა) ჩვეულებრივი გამოცემა . . .	7	0,4; 0,7; 0.9; 1,1; 1,4	—
ბ) მასობრივი გამოცემა	8—15	0,7; 0,9; 1,1; 1,4	—
3. სასიმღერო ლექსის ტექსტი, მოცულობის მიუხედავად	—	—	25—35—60—90—120
4. ეპიგრამა, ლექსის ტექსტი პლაკატისათვის	—	—	5—20—40
5. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები	—	50—100	—
6. მეცნიერული ლიტერატურა ცოდნის ყველა დარგში. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურა, ცნობარები	—	40—80	—
7. სახელმძღვანელოები	—	40—60	—
8. სხვა ლიტერატურა	—	30—60	—

შენიშვნები:

1. მე-3-8 პუნქტებში აღნიშნული საავტორო ჰონორარის განაკვეთები წესდება ტირაჟის მიუხედავად.

2. საბავშვო ნაწარმოებთა თარგმანისათვის გამოიყენება პროზისა და პოეზიის თარგმანისათვის დაწესებული ჰონორარის განაკვეთები და საბავშვო ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოებებისათვის დაწესებული ტირაჟის ნორმები.

3. თარგმანის მოცულობა საავტორო თაბახსა და ლექსის სტრიქონებში წესდება თარგმანის ტექსტის მიხედვით. თარგმანის ტექსტის საერთო მოცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის გამოანგარიშებისას ცხრილები, დიაგრამები და ილუსტრაციები, გარდა ფორმულებისა, გამოირიცხება.

4. იშვიათი და ძველი ენებიდან, აგრეთვე ხვეული დამწერლობის, თავისი გრაფიკის, იეროგლიფებისა და ლურსმული დამწერლობის მქონე ენებიდან თარგმანის დროს საავტორო ჰონორარის განაკვეთი დიდდება 25 პროცენტით, ხოლო სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან უცხო ენებზე თარგმანის დროს — 15 პროცენტით.

5. ბწკარედი თარგმანი ნაზღაურდება ტირაჟის მიუხედავად და ერთხელ (ლიტერატურული თარგმანის ხელახალი გამოცემისას ბწკარედი თარგმანის განმხორციელებელი პირი დამატებით გასამრჯელოს არ მიიღებს) შემდეგი გაანგარიშებით: პოეზია 5-დან 20 კაპიკამდე სტრიქონში, პროზა — 10-დან 40 მანეთამდე საავტორო თაბახში. ლიტერატურული მთარგმნელის მიერ გამოყენებული ბწკარედი თარგმანის ღირებულება, რომელიც გამომცემლობამ აანაზღაურა, გამოიქვითება აღნიშნული მთარგმნელის ჰონორარიდან.

Ე. რედაქტირება (ლიტერატურული, მეცნიერული, სპეციალური), რეცენზირება, კონსულტაციები, რომლებსაც შტატგარეშე რედაქტორები ახორციელებენ:

სამუშაოს სახეობა	გასამრჯელოს განაკვეთი მანეთობით ხელნაწერის საავტორო თაბახში ან ლექსის სტრიქონში	გასამრჯელოს განაკვეთი მანეთობით ნაწერისათვის (აკორდულად)
1. ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებთა (ლექსების გარდა) და შედგენილ ნაშრომთა რედაქტირება	5—25	—
2. ლექსების რედაქტირება (სტრიქონში)	0,05—0,1	—
3. თარგმანის რედაქტირება (ლექსების გარდა)	7—35	—
4. ლექსების თარგმანის რედაქტირება (სტრიქონში)	0,07—0,15	—
5. კალენდრის წერილების რედაქტირება (წერილში)	—	0,5—1
6. დამხმარე თვალსაჩინოებათა და პლაკატების სპეციალური რედაქტირება (ცალში)	—	2,5—10
7. ტექნიკური რედაქტირება	2—3	—
8. კორექტურა (სამჯერ წაკითხვა)	10—13	—
9. ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა რეცენზირება:		
2 თაბახამდე მოცულობით	—	30
2 თაბახზე მეტი	3—10	—
10. დანარჩენ ნაწარმოებთა რეცენზირება:		
3 თაბახამდე მოცულობით	—	20
3 თაბახზე მეტი	2—5	—
11. პლაკატის თემისა და ტექსტის რეცენზირება	—	1,5—3,2
12. იშვიათი ენებიდან გამოსაცემი თარგმანის ორიგინალთან შედარება	10—15	—
13. კონსულტაციები	3—5	—

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები:

1. ენციკლოპედიური ლექსიკონებისათვის განკუთვნილი სტატიების რედაქტირებისა და რეცენზირების გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება რედაქტორთან ან რეცენზენტთან გამომცემლობის შეთანხმების მიხედვით, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს სტატიის ავტორის მიერ მიღებული ჰონორარის 15 პროცენტს რედაქტირებისათვის და 7,5 პროცენტს — რეცენზირებისათვის.

2. პოეტურ ნაწარმოებთა რეცენზირებისა და ტექნიკური რედაქტირების ანაზღაურებისას 700 სალექსო სტრიქონი უთანაბრდება ერთ საავტორო თაბახს.

3. თუ ნაწარმოებს რამდენიმე რედაქტორი ჰყავს, ყველა რედაქტორის გასამრჯელოს საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1-6 პუნქტებში აღნიშნული განაკვეთების მიხედვით გამოანგარიშებულ თანხას ფურცელში ან აკორდულად.

4. რედაქტორს, რომელიც ამავე დროს არის მის მიერ რედაქტირებული გამოცემის რომელიმე ნაწილის ავტორი, ამ ნაწილის რედაქტირებისათვის გასამრჯელო არ მიეცემა.

3. ილუსტრაციები

წიგნის ავტორის მიერ წარდგენილი საილუსტრაციო მასალა წიგნებში, ალბომებში და ა. შ. ნაზღაურდება აკორდულად ან ცალობრივად ავტორთან შეთანხმებით. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, ანაზღაურება ხდება შემდეგი ოდენობით:

1) ორიგინალური ილუსტრაციები, რომლებიც ავტორმა წარადგინა მზა, ნაბეჭდი ფორმის დასამზადებლად გამოსადეგი სახით, — ტექსტის ჰონორარის განაკვეთის 100 პროცენტი;

2) ორიგინალური საილუსტრაციო მასალა, რომელიც მოითხოვს საბოლოო დამუშავებას, შელამაზებას, შესწორებას ან რეტუშს ავტორის მიერ წარდგენილი ორიგინალების მიხედვით, აგრეთვე ილუსტრაციები, რომლებიც მოითხოვენ გადახატვას, ამოხაზვას ავტორის მიერ წარდგენილი მონახაზების, ესკიზების ან ფოტოსურათების მიხედვით, — ტექსტის ჰონორარის განაკვეთის 40 პროცენტი;

3) ილუსტრაციები, რომლებიც ავტორმა შეარჩია სხვა გამოცემებიდან ან სამსახურებრივი მასალებიდან, წყაროების მითითებით ან ამონაჭრების დართვით, — ტექსტის ჰონორარის განაკვეთის 25 პროცენტი, მაგრამ არა უმეტეს 40 მანეთისა საავტორო თაბახში;

4) ილუსტრაციები, რომლებიც ავტორის ნებართვით შექმნილია გამომცემლობის ინიციატივით, არ ნაზღაურდება.

ისეთ ალბომებში მოთავსებული ილუსტრაციისათვის საავტორო ჰონორარის ასანაზღაურებლად, რომლებიც გამოდის ფორმატით 60×84 სანტიმეტრი ქაღალდის ფურცლის არანაკლებ ერთი მერვედისა, საავტორო თაბახი უდრის ასანაზღაურებელი ალბომის 8 გვერდს.

დანარჩენ გამოცემებში ილუსტრაციების საავტორო თაბახი უდრის დაბეჭდილ ნაწარმოებში ილუსტრაციების ფართობის 3000 კვადრატულ სანტიმეტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ამ დადგენილების I განაყოფის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეგანაყოფებით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით საავტორო ჰონორარი გაიცემა ნაწარმოების პირველი გამოცემისათვის.

საავტორო ჰონორარი განმეორებითი გამოცემისათვის (ხელახალი გამოცემისათვის) გაიცემა შემდეგი ოდენობით:

ა) ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებები, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები: მეორე და მესამე გამოცემები — ამ დადგენილების I განაყოფით გათვალისწინებული შესაბამისი განაკვეთის 60 პროცენტი თითოეული, მეოთხე გამოცემა — 40 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 35 პროცენტი, მეექვსე და შემდგომი გამოცემანი — 30 პროცენტი თითოეული;

ბ) დანარჩენი ორიგინალური ნაწარმოებები: მეორე და მესამე გამოცემები — ამ დადგენილების I განაყოფით გათვალისწინებული შესაბამისი განაკვეთის 60 პროცენტი თითოეული, მეოთხე გამოცემა — 40 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 35 პროცენტი, მეექვსე გამოცემა — 25 პროცენტი, მეშვიდე გამოცემა — 20 პროცენტი, მერვე და შემდგომი გამოცემანი — 10 პროცენტი თითოეული.

გ) დანარჩენი თარგმანები: მეორე გამოცემა — ამ დადგენილების I განაყოფით გათვალისწინებული შესაბამისი განაკვეთის 50 პროცენტი, მესამე გამოცემა — 40 პროცენტი, მეოთხე გამოცემა — 30 პროცენტი, მეხუთე გამოცემა — 20 პროცენტი, მეექვსე და შემდგომი გამოცემანი — 10 პროცენტი თითოეული.

III. ნაწარმოებთა გამოქვეყნება გაზეთებში, ჟურნალებში, ალმანახებსა და „რომან-გაზეტაში“ მოცემული ნაწარმოების გამოცემების რაოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.

ნაწარმოებთა გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთების ლიტერატურულ დამატებებში მხედველობაში მიიღება როგორც ერთი ჩვეულებრივი გამოცემა.

ნაწარმოების გამოცემის რიგითი ნომრის განსაზღვრისას მისი გამოქვეყნება თითოეულ ენაზე ცალკე აღირიცხება.

IV. ჩვეულებრივი გამოცემის რიგითი ნომრის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოცემული ნაწარმოების ყველა წინანდელი გამოცემა იმავე ენაზე (ჩვეულებრივი და მასობრივი), რომლებიც მანამდე გამოვიდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

მასობრივი გამოცემები ცალკე აღირიცხება.

V. ხელახლა გამოცემად ითვლება მოცემული ნაწარმოების ყოველი ახალი გამოცემა, რომელიც გამოვიდა ხელშეკრულებით ან კანონით დაწესებული წინა გამოცემის გამოსვლის ვადის გასვლის შემდეგ ან გამოვიდა ამ ვადის ფარგლებში, მაგრამ ავტორის მიერ გადამუშავებული სახით. დაგეგმილი ტირაჟის ნაწილად გამოშვება დაწესებულ ვადებში და ტირაჟის დაწესებულ ნორმათა ფარგლებში (მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებთათვის) ავტორს არ აძლევს დამატებითი გასამრჯელოს მიღების უფლებას.

VI. მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომთა ჩვეულებრივი და მასობრივი გამოცემები შემდეგნაირად ნაზღაურდება:

ა) თუ ნაწარმოები გამოდის ამ დადგენილების I განაყოფის „ა“ და „დ“ ქვეგანაყოფებში აღნიშნულ ნორმებზე გადამეტებული ტირაჟით, ნორმის გადამეტება ნაზღაურდება როგორც ერთი ამ რამდენიმე განმეორებითი გამოცემა (მოცემული სახის ნაწარმოებთათვის დაწესებული ტირაჟის ნორმის გადამეტებით გამოცემული ეგზემპლარების რაოდენობის შესაბამისად);

ბ) როდესაც ნაწარმოები გამოდის ჩვეულებრივი გამოცემებისათვის დაწესებულ ნორმებზე ნაკლები ტირაჟით (არასრული ჩვეულებრივი გამოცემა), ჰონორარი გაიცემა როგორც ტირაჟის სრული ნორმისათვის;

გ) მასობრივ გამოცემებად ჩაითვლება წიგნების გამოცემა არანაკლებ იმ ტირაჟისა, რაც აღნიშნულია ამ დადგენილების I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფის მე-15-22-ე პუნქტებში და „დ“ ქვეგანაყოფის 1-ლი და მე-2 პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტებში;

დ) თუ ნაწარმოები გამოდის ერთბაშად მასობრივი ტირაჟით, წინა ჩვეულებრივი გამოცემის გარეშე, ამ ნაწარმოებისათვის ჰონორარი გაიცემა როგორც ერთი ჩვეულებრივი (100 პროცენტი) და ერთი მასობრივი (100 პროცენტი) გამოცემისათვის; შემდგომ, ხელახალი გამოცემისას, ასეთი გამოცემა აღირიცხება როგორც ერთი მასობრივი გამოცემა;

ე) თუ პირველ მასობრივ გამოცემას წინ უძღოდა ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი გამოცემა, ჰონორარი მოცემული მასობრივი გამოცემისათვის გაიცემა მასობრივი გამოცემის განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით; შემდგომი მასობრივი გამოცემები ნაზღაურდება ამ დადგენილების II განაყოფის „ა“ პუნქტით დაწესებული ოდენობით.

VII. დაწესდეს რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული მხატვრული ლიტერატურის მასობრივი გამოცემებისათვის, აგრეთვე სხვა ენებიდან თარგმანებისა და რუსულ ენაზე თარგმნილი ორიგინალური ნაწარმოებებისათვის შემდეგი ტირაჟები: პროზა — 50 ათასი ცალი და პოეზია — 20 ათასი ცალი.

საავტორო ჰონორარი ამ მასობრივი გამოცემებისათვის გაიცეს:

ა) თუ წიგნი ერთბაშად გამოდის მასობრივი გამოცემით, რომელსაც წინ არ უძღოდა ჩვეულებრივი გამოცემა (პროზა — 50 ათასი ცალი და პოეზია — 20 ათასი ცალი) პირველი გამოცემისათვის დაწესებული განაკვეთის 160 პროცენტის ოდენობით, თუ წიგნი გამოდის არასრული მასობრივი ტირაჟით, მაგრამ არანაკლებ 20 ათასი ცალი პროზისა და 15 ათასი ცალი პოეზიისა, საავტორო ჰონორარის გაანგარიშება არ იცვლება, ესე იგი ანაზღაურება ხდება ამ პუნქტის თანახმად;

ბ) თუ მასობრივ გამოცემას წინ უძღოდა ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი გამოცემა, ჰონორარი ამ მასობრივი გამოცემისათვის ნაზღაურდება მასობრივი გამოცემის განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით.

შემდგომი მასობრივი გამოცემები ცალკე გამოიანგარიშება და ნაზღაურდება ამ დადგენილების II განაყოფის „ა“ პუნქტით დაწესებული ხელახალი გამოცემების ანაზღაურების განაკვეთების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. დაწესდეს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურას უნდა მიეკუთვნოს მასობრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული და მონოგრაფიული ლიტერატურა შემდეგ საკითხებზე:

ა) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია და მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ისტორია, პარტიული და საბჭოთა მშენებლობა;

ბ) ფილოსოფია, მეცნიერული კომუნიზმი;

გ) სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა:

დ) სახელმწიფო და სამართალი;

ე) ისტორია;

ვ) საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა;

ზ) სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა და საგარეო პოლიტიკა;

თ) პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა;

ი) სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.

შემოღებულ იქნეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ორიგინალურ ნაწარმოებთა ავტორებისათვის ჰონორარის დამატებით გაცემა შემდეგ შემთხვევებში და ოდენობით:

30 ათას ცალზე მეტი ტირაჟით მასობრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პოპულარული წიგნების გამოცემისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი, 60 ათას ცალზე მეტი ტირაჟით — ჰონორარის 75 პროცენტი;

15 ათას ცალზე მეტი ტირაჟით მონოგრაფიების გამოცემისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი, 30 ათას ცალზე მეტი ტირაჟით — ჰონორარის 75 პროცენტი;

75 ათას ცალზე მეტი ტირაჟით სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემისათვის — ჰონორარის 50 პროცენტი.

აღნიშნული დამატებითი თანხების გადახდა გამოცემის რიგითი ნომრის განსაზღვრისას არ იანგარიშება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ცნობარები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმანი ნაზღაურდება ტირაჟის მიუხედავად.

IX. დადგენილ იქნეს მასობრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წიგნებისათვის საავტორო ჰონორარის ანაზღაურების შემდეგი წესი:

მასობრივ-პოლიტიკური წიგნისათვის ჰონორარი გაიცემა სრული ოდენობით პირველ 5 საავტორო თაბახში, მეცნიერულ-პოპულარული წიგნისათვის — პირველ 10 საავტორო თაბახში; აღნიშნული მოცულობის გადამეტებით საავტორო ჰონორარი თაბახში გაიცემა განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება მიეცეთ გამომცემლობებს აძლიონ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე საუკეთესო ბროშურათა ავტორებს 4 საავტორო თაბახამდე მოცულობით ჰონორარი აკორდულად (მთელი ბროშურისათვის) 1200 მანეთამდე ოდენობით. ასეთი ბროშურების აკორდული ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გამოცემული ნაწარმოების მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი აღიარების შემდეგ.

X. თუ ნაწარმოები გადაამუშავა ან შეავსო ავტორმა (შემდგენელმა) მორიგი გამოცემისათვის, მაშინ ხელახლა გამოსაცემ ნაწარმოებში შეტანილი ახალი მასალის მთელი ფაქტიური მოცულობისათვის საავტორო ჰონორარი გაიცემა განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით. დანარჩენი ტექსტი ნაზღაურდება გამოცემის რიგითი ნომრის შესაბამისად.

ახალ მასალად ითვლება მთელი ახალი ტექსტი, სტილისტური და რედაქციული გასწორების გარდა.

შემდგომი გამოცემების დროს მთელი ნაწარმოები სრულად ნაზღაურდება გამოცემის რიგითი ნომრის შესაბამისად, წინა გამოცემებში მასალის განახლების მიუხედავად.

თუ ნაწარმოები გამოდის სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილ, საავტორო ჰონორარი გაიცემა ცალკე თითოეული ნაწილისათვის, მათი წინანდელი გამოცემების რაოდენობის მიხედვით.

XI. ერთი ავტორის თხზულებათა კრებულების, რჩეულ ნაწარმოებთა კრებულებისა და ნაწარმოებთა ერთტომეულების გამოცემის დროს ჰონორარი გაიცემა ცალკე თითოეული ნაწარმოებისათვის, მოცულობისა და წინანდელ გამოცემათა რაოდენობის მიხედვით, შესაბამისი განაკვეთებისა და ტირაჟის ნორმების გამოყენებით (ნაწარმოების სახეობის მიხედვით).

ანალოგიურად ნაზღაურდება სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებთა კრებულებში მოთავსებული ნაწარმოებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ დადგენილებით (განაყოფი I) მოცემული სახეობის ნაწარმოებისათვის გათვალისწინებულია აკორდული ანაზღაურება, მოცულობის მიუხედავად.

ავტორის სიცოცხლეში გამოსულ თხზულებათა კრებულების გამოცემისას ჰონორარი ტირაჟის (ჩვეულებრივი ამ მასობრივი) პირველი ნორმისათვის გაიცემა 100 პროცენტის ოდენობით, თხზულებათა კრებულში შეტანილი ნაწარმოებების წინანდელ გამოცემათა რაოდენობის მიუხედავად. ტირაჟის ნორმის გადამეტებით და ხელახლა გამოცემული ნაწარმოებები ნაზღაურდება ამ დადგენილების II განაყოფით დადგენილი წესით; ამასთან მოცემული ავტორის თხზულებათა კრებულის გამოცემების რაოდენობა იანგარიშება 1968 წლის შემდეგ განხორციელებული (დამთავრებული) პირველი სიცოცხლისდროინდელი გამოცემიდან.

შენიშვნა: თხზულებათა კრებულად ითვლება ერთი ავტორის ნაწარმოებთა განსაკუთრებული (როგორც წესი, რამდენიმეტომიანი) გამოცემა, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედებამ საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა, აჯამებს მის შემოქმედებითს შედეგებს და მოიცავს ამ ავტორის მიერ სხვადასხვა ჟანრში, თავისი შემოქმედებითი გზის სხვადასხვა ეტაპზე შექმნილ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა უმრავლესობას.

XII. ორი ან რამდენიმე ავტორის, მათ შორის სპეციალისტი ავტორისა და ნაწარმოების ლიტერატურულად გამფორმებელი ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოების გამოცემისათვის ჰონორარი გაიცემა ამ დადგენილებით დაწესებული განაკვეთების მიხედვით და ნაწილდება თანაავტორთა შორის მათი შეთანხმებით.

XIII. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა ავტორებს ჰონორარი მიეცემათ მხოლოდ სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს დაწესებული მოცულობისათვის, ავტორის მიერ წარდგენილი ხელნაწერისა და გამოშვებული სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს ფაქტიური მოცულობის მიუხედავად.

დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორი თვის ვადაში განსაზღვრონ სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა ზღვრული მოცულობანი.

შენიშვნა: სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა წინათ დაწესებულ მოცულობაში საჭირო ცვლილებების შეტანის საკითხს ყოველ ცალკე შემთხვევაში გადაწყვეტენ სამინისტროები ან სხვა ორგანიზაციები, რომლებმაც განსაზღვრეს სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა ზღვრული მოცულობანი.

XIV. თუ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელო ან დამხმარე სახელმძღვანელო ხელახლა გამოცემისას გადამუშავდება, მაშინ ახალი მასალისათვის საავტორო ჰონორარი გაიცემა ამ დადგენილების X განაყოფში აღნიშნული წესითა და ოდენობით, მაგრამ ახალი მასალის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც ძველ მასალასთან ერთად არ აღემატება სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს დაწესებულ ზღვრულ მოცულობას.

XV. როდესაც ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოიცემა ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის ან ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომი), რომელიც თავდაპირველად დაბეჭდილია სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე სხვა ენაზე, გარდა რუსულისა, ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ჰონორარი ამ დადგენილების I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფით გათვალისწინებული განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით (ნაწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოების სახეობის მიხედვით). ასეთივე უფლებით სარგებლობენ იმ ნაწარმოებთა ავტორები, რომლებიც ითარგმნა სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენიდან და გამოიცა რუსულად.

როდესაც საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე გამოიცემა ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის ან ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომი), რომელიც თავდაპირველად დაბეჭდილია რუსულ ენაზე, ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ჰონორარი აღნიშნული სახეობის ნაწარმოებთათვის დაწესებული მინიმალური განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით, მიუხედავად ტირაჟისა.

ამ განაყოფში აღნიშნულ ნაწარმოებთა თარგმანის ყოველი ხელახალი გამოცემისათვის, აგრეთვე ჩვეულებრივი ან მასობრივი გამოცემის ტირაჟის ნორმების გადამეტებისათვის ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს ჰონორარი მიეცემა ამ დადგენილების II განაყოფით დაწესებული ოდენობით თარგმანის პირველი გამოცემის განაკვეთიდან (მაგალითად, მეორე გამოცემისათვის — 60 პროცენტი 60 პროცენტიდან, ე. ი. 36 პროცენტი, მეოთხე გამოცემისათვის — 40 პროცენტი 60 პროცენტიდან, ე. ი. 24 პროცენტი). ამასთან თავდაპირველად რუსულ ენაზე დაბეჭდილი ნაწარმოების თარგმანის ყოველი ხელახალი გამოცემისათვის ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს ჰონორარი მიეცემა ტირაჟის მიუხედავად.

სსრ კავშირში მცხოვრები ავტორი უცხო ენაზე ან სსრ კავშირის ხალხთა იმ ენაზე შექმნილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებისა, რომელზეც არ ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობა და ამის გამო იგი თავდაპირველად რუსულ ენაზე დაიბეჭდა, ასეთი ნაწარმოების საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხთა ენებზე გამოცემისას ჰონორარს მიიღებს ისეთ ნაწარმოებთა ავტორებისათვის დადგენილი წესით, რომლებიც თავდაპირველად დაიბეჭდა სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენაზე, გარდა რუსულისა.

XVI. დაწესდეს, რომ წინათ გამოუქვეყნებელი ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმანის გამოცემისას მთარგმნელს ჰონორარს უხდის გამომცემლობა, როგორც წესი, ნაწარმოების ავტორის ხარჯზე და ავტორი ჰონორარს მიიღებს ხელშეკრულებაში აღნიშნული განაკვეთის მიხედვით იმ თანხის გამოქვითვით, რაც გამომცემლობამ გადაუხადა მთარგმნელს.

თუ ხელნაწერი არ შეიძლება გამოიცეს ორიგინალის ენაზე იმის გამო, რომ სსრ კავშირში არ წარმოებს საგამომცემლო საქმიანობა ამ ენაზე ანდა ნაწარმოები იქმნება გამომცემლობის შეკვეთით და ხელშეკრულებაში სპეციალურად არის გათვალისწინებული, რომ ხელნაწერი წარმოდგენილია სხვა ენაზე თარგმანის სახით გამოსაცემად, ნება დაერთოთ გამომცემლობებს გადაუხადონ მთარგმნელს კუთვნილი ჰონორარი გამომცემლობის ხარჯზე.

XVII. საავტორო ჰონორარი ნაწარმოებთა გამოცემისა და ხელახლა გამოცემისათვის არ მიეცემათ:

ა) დაბეჭდილ ნაწარმოებთა ავტორებს, როცა მათი ნაწარმოებები თარგმნილია ერთი ენიდან მეორეზე, გარდა ამ დადგენილების XV განაყოფში აღნიშნული შემთხვევებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ისეთ ნაწარმოებთა ავტორებს, რომლებსაც იყენებენ უსინათლოთათვის რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით ლიტერატურის გამოცემისას, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შეკვეთილი რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით გამოსაცემად, რომელთა ანაზღაურება საერთო საფუძველზე ხდება;

გ) კონფერენციებზე, ყრილობებზე, თათბირებზე წაკითხული ლექციებისა და მოხსენებებისათვის რომლებიც მოცემული პირის სამსახურებრივ მოვალეობას განეკუთვნება;

დ) კრებულთა შემდგენლებს, რომლებიც ამავე დროს არიან კრებულის რომელიმე განაყოფის ან მასალის ავტორები, ჰონორარი კრებულის იმ ნაწილის შედგენისათვის, რომლისთვისაც მას ეძლევა ჰონორარი, როგორც ავტორს;

ე) ოფიციალურ პირთა და ორგანოთა მიერ დამტკიცებული ისეთი მასალების შემდგენლებს, რომლებიც გამოცემულია სავალდებულო გამოყენებისათვის; სასწავლო პროგრამებისათვის, სამსახურებრივი ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოებისათვის, ნომენკლატურა-საფასარებისათვის, მოწყობილობის ექსპლუატაციის წესებისათვის და სხვ;

ვ) დისერტანტთა მიერ წარმოებას მოწყვეტით შესრულებული დისერტაციებისათვის და ავტორთა მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში ან უმაღლეს სასწავლებელში სამსახურებრივი დავალების წესით შესრულებული დაგეგმილი ნაშრომებისათვის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბრიგადულ-ინდივიდუალური მოწაფეობისა და კურსების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გარდა, რომელთა ჰონორარი გაიცემა მას შემდეგ, რაც სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს დაამტკიცებენ შესაბამისი ორგანიზაციები, და იგი გამოიცემა;

ზ) ავტორის გვარისა და თვით ნაწარმოების აუცილებლად მითითების შესახებ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით მეცნიერულ და კრიტიკულ ნაშრომებში, სასწავლო და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო გამოცემებში (მათ შორის ენციკლოპედიურ გამოცემებში) უკვე გამოცემულ ნაწარმოებთა და მათ ნაწყვეტთა გადაბეჭდვისათვის, თუ ერთი და იგივე ავტორის ნაწარმოებიდან ნასესხები ტექსტის მოცულობა სულ არ აღემატება 10 ათას ნაბეჭდ ნიშანს პროზისათვის და 40 სტრიქონს ლექსებისათვის; კაპიტალური მეცნიერული ნაშრომებიდან (არანაკლებ 30 საავტორო თაბახისა) დასაშვებია 40 ათასამდე ნაბეჭდი ნიშნის გადაბეჭდვა.

იმ შემთხვევებში, როცა სახელმძღვანელოში გადაბეჭდილი ნაწარმოების ან ნაწყვეტის ავტორს უფლება აქვს მიიღოს ჰონორარი, იგი მას მიეცემა ამ დადგენილების I განაყოფით დაწესებული მინიმალური განაკვეთის მიხედვით (ნაწარმოების სახეობის შესაბამისად), ტირაჟის მიუხედავად.

ნაწყვეტების გადაბეჭდვა მხედველობაში არ მიიღება იმ ნაწარმოების გამოცემათა რაოდენობის გამოანგარიშებისას, რომლიდანაც აღებულია ნაწყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი, და იმ შემთხვევაში, როცა გადაბეჭდვისათვის უხდიან ჰონორარს. ნაწარმოების მთლიანად გადაბეჭდვა იანგარიშება როგორც გამოცემა მხოლოდ იმ პირობით, რომ ჰონორარი მიიღოს გადაბეჭდილი ნაწარმოების ავტორმა (ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა გადაბეჭდვა სახელმძღვანელოებში იანგარიშება როგორც ერთი ჩვეულებრივი გამოცემა).

თუ სხვა პირობა არ არის დათქმული ხელშეკრულებაში, ციტატები ნაზღაურდება როგორც ავტორის საკუთარი ტექსტი (ლექსის ციტატების მოცულობა იანგარიშება საავტორო თაბახებში, და არა სტრიქონობრივ); ამასთან ქონებრივი პასუხისმგებლობა ციტირებულ ავტორთა უფლებების დაცვისათვის ეკისრება იმას, ვინც ციტატა გამოიყენა.

XVIII. ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებში, ალმანახებში და ჟურნალ-გაზეთების ლიტერატურულ დამატებებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარი გაიცემა ტირაჟის მიუხედავად ამ დადგენილების I განაყოფით დაწესებული განაკვეთების მიხედვით. სხვა ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე ეს დადგენილება, გარდა XIX განაყოფში განსაზღვრული წესისა, არ ვრცელდება.

XIX. ავტორთა მემკვიდრეებს საავტორო ჰონორარი 1973 წლის 1 ივნისის შემდეგ ერიცხებათ იმავე წესით, როგორც თვით ავტორებს სიცოცხლეში, და ეძლევათ მხოლოდ საავტორო უფლებათა სააგენტოს მეშვეობით. საავტორო ჰონორარს, რომლის მიღების უფლება მემკვიდრეებს მიეცათ 1973 წლის 1 ივნისამდე, გამომცემლობები უხდიან წინათ მოქმედი წესების მიხედვით, ე. ი. 50 პროცენტის ოდენობით. თანხა, რომლის მიღების უფლება წარმოიშვა ავტორის სიცოცხლეში, მემკვიდრეებს მთლიანად (100 პროცენტი) მიეცემათ.

XX. ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებებზე, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომებზე ლიტერატურული შეკვეთის ხელშეკრულების დადებისას ავტორს მიეცემა ავანსი ხელშეკრულებაში დაწესებული განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით. სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებზე ლიტერატურული შეკვეთის ხელშეკრულების დადებისას გამომცემლობას უფლება აქვს მისცეს ავტორს ავანსი მოცემული სახეობის ნაწარმოებთათვის დაწესებული მინიმალური განაკვეთის 25 პროცენტამდე ოდენობით, მიუხედავად იმისა, თუ რა განაკვეთია შეპირობებული ხელშეკრულებაში.

XXI. ეს დადგენილება ვრცელდება საავტორო ჰონორარის და რედაქტირებისა და რეცენზირების გასამრჯელოს ყველა გადასახდელზე, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა დადგენილების გამოცემის შემდეგ.

გადასახდელები, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა ამ დადგენილების გამოცემამდე, გაიცემა წინათ მოქმედი ნორმების მიხედვით.

XXII. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოსცეს საინსტრუქციო მითითებანი და აძლიოს ახსნა-განმარტებანი ამ დადგენილების გამოყენების თაობაზე (ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა ნაწილში — საქართველოს მწერალთა კავშირთან შეთანხმებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXIII. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 435 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 18 ივლისის № 473 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 2 სექტემბრის № 556 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 ოქტომბრის № 651 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 560 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 თებერვლის № 91 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 მარტის № 164 დადგენილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 იანვარი, № 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ნათესავების ერთად მუშაობის შეზღუდვის წესში გამონაკლისის დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად ნათესავების ერთად მუშაობის შეზღუდვის წესში გამონაკლისის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებულ ნათესავების ერთად მუშაობის შეზღუდვის წესში გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს ცალკეული კატეგორიების მუშაკთა მიმართ, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 31 იანვარი, № 55.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 31 იანვრის № 55
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებისა, რომელთა მიმართაც შესაძლებელია დაშვებულ იქნეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ნათესავების ერთად მუშაობის შეზღუდვის წესის გამონაკლისი

1. მუშაკები, რომლებსაც უკავიათ ისეთი არჩევითი თანამდებობანი, როცა ერთი უშუალოდ ექვემდებარება ან კონტროლს უწევს მეორეს.

2. საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სოფლად განლაგებულ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

3. რკინიგზის ტრანსპორტის სახაზო საწარმოთა მუშაკები, ამ საწარმოთა მთავარი (უფროსი) ბუღალტრებისა და მოლარეების გარდა.

4. კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები.

5. ჯანმრთელობის დაცვის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარიულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ექიმები.

6. ყველა სასწავლო და აღმზრდელობითი დაწესებულების პედაგოგიური მუშაკები, მასწავლებლები, ბიბლიოგრაფები და ბიბლიოთეკარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სახელმწიფო თეატრების, მხატვრული კოლექტივებისა და სტუდიების მსახიობები, მხატვრები და მუსიკოსები.

8. იმ რაიონებში განლაგებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის საწარმოთა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მუშაკები, რომლებიც სახგეოზედამხედველობის ამიერკავკასიის განყოფილების მიერ მიეკუთვნებიან დადგენილი წესით მაღალი მთის ადგილებს.

9. საველე კეოლოგიური ექსპედიციების, პარტიების, რაზმებისა და უბნების მუშაკები.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივ ორგანოთა მუშაკები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობას სტანდარტებისა და საზომი ტექნიკისადმი.

11. სოფლად მომუშავე სატყეო და წყალთა მეურნეობის სპეციალისტები, განათლების მუშაკები, მედიცინის მუშაკები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებათა მუშაკები.

12. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების საექსპლუატაციო საგზაო ორგანიზაციათა მუშაკები, ამ ორგანიზაციათა მთავარი (უფროსი) ბუღალტრებისა და მოლარეების გარდა.

---

15 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ოპერატიული და უშუალო ხელმძღვანელობა საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი, აგრეთვე გაძლიერდეს სამინისტროს აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება საწარმოო მაჩვენებლების შესრულებითა და სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფით, მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და გადაყვანილ იქნეს 1974 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო სამეურნეო ანგარიშზე ამ სამინისტროს სისტემისათვის 1974 წელს დამტკიცებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციის თვითღირებულების დანახარჯების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 31 იანვარი, № 56

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 17 მარტის № 383 დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო გადასახლების შეღავათების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის № 704 დადგენილება „მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შესაძენად ახლადდასახლებულთათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების მიცემის შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილებით:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 25 ნოემბრის № 4757 დადგენილება „გადასახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 15 დეკემბრის № 1062 განკარგულებით;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 სექტემბრის № 757 დადგენილება „გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილების მოქმედების ვადის 1971-1975 წლებისათვის გაგრძელების თაობაზე“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 21 სექტემბრის № 829 განკარგულებით;

ბ) „დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყისა და სხვა ფრინველის შესყიდვის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილების (რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 9 სექტემბრის № 504 დადგენილებით) მე-19 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„პირუტყვის მიღება გადასახლებულთაგან, რომლებიც გეგმიანი წესით სახლდებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და მათთვის პირუტყვის მიცემა ჩასახლების ადგილებში ხდება სსრ კავშირის დამზადების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის“ მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილი წესით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 7 თებერვალი, № 62.

17 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 29 იანვრის № 56 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 16 თებერვალი, № 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 16 თებერვლის № 88
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის ვაჭრობის ხელმძღვანელობას რესპუბლიკაში, აგრეთვე კონტროლს უწევს რესპუბლიკის მასშტაბით ყველა სახის გამოცემული ლიტერატურის თემატიკურ მიმართულებასა და შინაარსს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა იდეურ-პოლიტიკური დონის მდგომარეობისა და შემდგომი ამაღლებისათვის, პოლიგრაფიული მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და მასზე რესპუბლიკის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის, პოლიგრაფიული წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის და წიგნის ვაჭრობის მდგომარეობისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია;

უზრუნველყოს ლიტერატურის გამოცემა მაღალ იდეურ, თეორიულ და პროფესიულ დონეზე და გააძლიეროს მისი ქმედითობა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად; განახორციელოს საგამომცემლო საქმის ცენტრალიზაცია და სპეციალიზაცია რესპუბლიკის მასშტაბით; კოორდინაცია გაუწიოს გამომცემლობათა თემატიკურ გეგმებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა; შეიმუშაოს წიგნების გამოცემის, პერიოდიკის განვითარების კრებსითი წლიური და პერსპექტიული გეგმები; სრულყოს საგამომცემლო საქმის ეკონომიკა და ორგანიზაცია; განახორციელოს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სტატისტიკა;

განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა პოლიგრაფიულ მრეწველობაში რესპუბლიკის მასშტაბით, მიიღოს პრაქტიკული ზომები ამ დარგის განვითარებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე, მოქმედ პოლიგრაფიულ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ახალ საწარმოთა მშენებლობისათვის, მათი სპეციალიზაციისა და კოოპერირებისათვის;

ხელმძღვანელობა გაუწიოს წიგნის ვაჭრობას, სწორად განსაზღვროს წიგნის ტირაჟები ლიტერატურაზე მოსახლეობის მოთხოვნის ღრმა შესწავლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებით, დააკომპლექტოს ბიბლიოთეკები საბიბლიოთეკო კოლექტორის სისტემის მეშვეობით;

ყოველდღიური კონტროლი გაუწიოს წიგნის გამოცემისა და პოლიგრაფიის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

მოაწყოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობისათვის კადრების მომზადება და აამაღლოს მათი კვალიფიკაცია;

კოორდინაცია გაუწიოს სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამომცემლობათა, პოლიგრაფიულ საწარმოთა და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციათა მუშაობას;

შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა გამომცემლობათა, პოლიგრაფიულ საწარმოთა და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციათა მიერ;

უზრუნველყოს საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება, წარმოების ეფექტიანობას ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი, აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ღირებულება და ვადები, დროულად აამოქმედოს საწარმოო სიმძლავრეები და ძირითადი ფონდები, აგრეთვე მოკლე ვადებში აითვისოს საწარმოო სიმძლავრეები;

დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს კომიტეტის გამომცემლობანი, პოლიგრაფიული საწარმოები და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციები კვალიფიციური კადრებით, შექმნას მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების პირობები, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი;

გააუმჯობესოს კომიტეტის სისტემის მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შექმნას წარმოებაში შრომის უსაფრთხო პირობები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის ხელმძღვანელობას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში ამავე სახელწოდების სამმართველოთა მეშვეობით და განაგებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან თავის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

დებულებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ, მის

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურას, აგრეთვე აპარატის მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს სამინისტროს კომპეტენციის საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და წარუდგენს ამ წინადადებებს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს მთლიანად რესპუბლიკაში წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, სახვითი გამოცემებისა და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვების წლიურ და პერსპექტიულ გეგმათა პროექტებს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმაში შეტანილი მაჩვენებლების მიხედვით (საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის გარდა), ამასთან გამოყოფს რესპუბლიკური დაქვემდებარების გამომცემლობებს და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა გამომცემლობებს;

— განიხილავს და დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ გამომცემლობათა მიერ ლიტერატურის გამოცემის წლიურ და პერსპექტიულ თემატიკურ გეგმებს; განიხილავს და დაამტკიცებს შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად გამომცემლობათა მიერ ლიტერატურის გამოცემის წლიურ და პერსპექტიულ თემატიკურ გეგმებს; განიხილავს კოორდინაციის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულ ლიტერატურის გამოცემის გეგმათა პროექტებს; დაამტკიცებს უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ გამომცემლობათა კრებსით თემატიკურ გეგმებს; დაამტკიცებს დადგენილი წესით სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამომცემლობათა კრებსით თემატიკურ გეგმებს (მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გეგმების გარდა);

მისცემს თანხმობას იმ სამინისტროთა და უწყებათა ორგანიზაციების მიერ ლიტერატურის გამოცემის კრებსითი წლიური და პერსპექტიული გეგმების დასამტკიცებლად, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საგამომცემლო საქმიანობის უფლება; დააწესებს აღნიშნული ლიტერატურის გამოცემის ზღვრულ მოცულობებს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით;

დაამტკიცებს უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ გამომცემლობათა, პოლიგრაფიულ და სხვა საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმებს; შეიტანს დაზუსტებებს გამომცემლობათა საქმიანობის პროფილში; განახორციელებს კონტროლს იმ საუწყებო ორგანიზაციათა მიერ გამოცემული ლიტერატურის თემატიკური მიმართულებისა და შინაარსისადმი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საგამომცემლო საქმიანობის უფლება;

უზრუნველყოფს არაპერიოდულ გამოცემათა მაღალ იდეურ-თეორიულ, მეცნიერულ და მხატვრულ დონეს, მათი მხატვრული გაფორმების, პოლიგრაფიული შესრულების მაღალ ხარისხს და დროულად გამოშვებას, აგრეთვე ჟურნალებისა და სხვა პერიოდულ გამოცემათა მხატვრული გაფორმების, პოლიგრაფიული შესრულების, ტექნიკური და მხატვრული რედაქტირების მაღალ ხარისხს და დროულად გამოშვებას;

მიიღებს რესპუბლიკაში გამოშვებული ყველა ბეჭდვითი გამოცემის საკონტროლო ეგზემპლარებს;

მოახდენს გამოცემული არაპერიოდული ლიტერატურის ანალიზს და შეადგენს მის გამო თემატიკურ მიმოხილვებს; უზრუნველყოფს სარედაქციო-საგამომცემლო პროცესის სრულყოფას;

განიხილავს შესათანხმებლად წარსადგენ წინადადებებს სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების გამომცემლობათა, სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებათა შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების შესახებ, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის (მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების გარდა) საგამომცემლო უფლებათა მინიჭების შესახებ;

მოაწყობს რესპუბლიკურ კონკურსებს ბეჭდვითი სიტყვის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის, ამასთან გასცემს პრემიებს დადგენილი წესით; მოაწყობს რესპუბლიკაში ლიტერატურის გამოფენებსა და წიგნის ბაზრობებს; ერთიანი საერთო-საკავშირო გეგმის ფარგლებში მოაწყობს რესპუბლიკაში საზღვარგარეთის ქვეყნების წიგნის გამოფენებს;

ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას საგამომცემლო საქმეში; გამოსცემს ბიულეტენებს „წიგნის სამყარო“ და „საქართველოს პოლიგრაფია“;

ბ) შეიმუშავებს პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმათა პროექტებს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაში შეტანილი მაჩვენებლების მიხედვით; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარებისათვის (საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის გარდა) მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე, საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისა და გამოყენებისათვის, პოლიგრაფიული წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელებისათვის; შეიმუშავებს დაინტერესებულ ორგანიზაციათა მონაწილეობით და დაამტკიცებს ყველა ახალი საწარმოო პროცესის ტექნოლოგიურ რეგლამენტებს;

გაანაწილებს უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ პოლიგრაფიულ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეებს და კოორდინაციას გაუწევს სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების პოლიგრაფიულ სიმძლავრეთა დატვირთვასა და გამოყენებას (მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებისა და პარტიული ორგანოების პოლიგრაფიული ბაზის გარდა);

გ) მისცემს დადგენილი წესით თანხმობას სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების პოლიგრაფიულ საწარმოთა გასახსნელად; განახორციელებს კონტროლს სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პოლიგრაფიული საწარმოების, როტაპრინტის ბაზების (უბნების) სიმძლავრეთა გამოყენებისადმი;

დ) მოაწყობს არაპერიოდულ გამოცემათა პროპაგანდასა და რეკლამას, აგრეთვე ინფორმაციას მათ შესახებ; ხელმძღვანელობას გაუწევს არაპერიოდულ გამოცემათა გავრცელებას რესპუბლიკაში; შეიმუშავებს წიგნის ვაჭრობის ქსელის განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს და განახორციელებს ღონისძიებებს წიგნის ვაჭრობის პროგრესული ფორმებისა და წიგნის გავრცელებაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარებისათვის, მყიდველთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის;

დადგენილი წესით მოაწყობს რესპუბლიკის წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციებში წიგნის ფონდების სახელობით აღრიცხვას; შეამოწმებს კომიტეტის საცალო და საბითუმო წიგნის ვაჭრობის ქსელის ფონდებს; მოახდენს საჭირო შემთხვევებში მოძველებულ გამოცემათა ჩამოფასებასა და ჩამოწერას კომიტეტის წიგნის ვაჭრობის ქსელის საწარმოებში; უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო კოლექტორისა და წიგნის მაღაზიების მეშვეობით ბიბლიოთეკების გეგმაზომიერ მომარაგებას ლიტერატურით; მოაწყობს დადგენილი წესით წიგნის ლატარიებს;

ე) დადგენილი წესით შეიმუშავებს და დაამტკიცებს ძირითადი მასალების, ნედლეულის, სათბობის ხარჯვის, შრომითი დანახარჯების ნორმატივებს (სსრკავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული ნორმატივების გარდა) და მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს; შეიმუშავებს და განახორციელებს ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის ღონისძიებებს; შეიმუშავებს წინადადებებს საბეჭდი ქაღალდის, საყდე მუყაოს, პოლიგრაფიული და წიგნის ვაჭრობის მოწყობილობისა და პოლიგრაფიული მასალების ასორტიმენტის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ; მოამზადებს წინადადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს საბეჭდი ქაღალდისა და საყდე მუყაოს რესურსების, მათი ასორტიმენტისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ; გასცემს დასკვნებს წიგნის ვაჭრობის მოწყობილობისა და პოლიგრაფიული მასალების წარმოების გეგმათა პროექტების გამო; გასცემს დასკვნებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების იმ წინადადებათა გამო, რომლებიც საზღვარგარეთ პოლიგრაფიული მოწყობილობის შესყიდვას შეეხება;

ვ) განახორციელებს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული მოქმედი საწარმოებისა და ობიექტების გაფართოებასა და რეკონსტრუქციას და ახლის მშენებლობას; უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, დარგში ახალი მშენებლობის რაციონალურ განლაგებას; განიხილავს შესათანხმებლად წარსადგენ წინადადებებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების პოლიგრაფიულ საწარმოთა დაპროექტებისა და მშენებლობის (რეკონსტრუქციის) შესახებ;

ზ) შეისწავლის და განაზოგადებს მოთხოვნილებას პოლიგრაფიულ მოწყობილობაზე, შეიმუშავებს პოლიგრაფიული მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, პოლიგრაფიული მასალებისა და ხელსაწყოების, საამწყობო ავეჯისა და წიგნის ვაჭრობის მოწყობილობის მატერიალურ ბალანსებს რეპუბლიკის მასშტაბით; გაანაწილებს ამ პროდუქციას მომხმარებელთა შორის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა; მონაწილეობას მიიღებს საბეჭდი ქაღალდისა და საყდე მუყაოს მომხმარებელთა მიხედვით განაწილების გეგმათა პროექტების შემუშავებაში; შეიმუშავებს საბეჭდ ქაღალდზე და საყდე მუყაოზე მოთხოვნილების გაანგარიშებას და ამ ქაღალდისა და მუყაოს ფონდების განაწილების გეგმათა პროექტს კომიტეტის მასშტაბით;

თ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით დასაბეჭდად გათვალისწინებულ ყველა სახეობის ლიტერატურულ, დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის განაკვეთებს;

ი) შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად წიგნების, ბროშურების, სახვით გამოცემათა, ნოტებისა და სხვა საგამომცემლო პროდუქციის ნომინალებს (საცალო ფასებს), პოლიგრაფიული პროდუქციის, შრიფტების, სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ფასებს, რომლებიც გათვალისწინებული არაა მოქმედი პრეისკურანტებით; განახორციელებს კონტროლს კომიტეტის ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ ფასების სწორად გამოყენებისადმი;

კ) შეიმუშავებს და განახორციელებს დადგენილი წესით ღონისძიებებს წარმოებაში ახალი მაღალმწარმოებლური მანქანების, მოწყობილობის, ავტომატიზაციის სისტემათა, პოლიგრაფიული მრეწველობის, საგამომცემლო საქმისა და წიგნის ვაჭრობის ტექნოლოგიური პროცესებისა და ახალი მასალების დანერგვისათვის; შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით პოლიგრაფიული ნაწარმის, თეთრი ქაღალდის საქონლის ტექნიკურ პირობებს;

ლ) განახორციელებს დადგენილი წესით კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ გამომცემლობათა, პოლიგრაფიულ საწარმოთა, წიგნის ვაჭრობისა და სხვა ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას; შეიმუშავებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განახორციელებს კომიტეტის საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

მ) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას კომიტეტის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში; მიიღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს ღონისძიებებს საღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის; შეადგენს კომიტეტის ყველა სახეობის საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კრებსით პერიოდულ და წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს;

ნ) მოაწყობს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, განსაზღვრავს მათს მოთხოვნილებას მასალებზე, მოწყობილობაზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, მიიღებს და გაანაწილებს დადგენილი წესით მასალების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფილ ფონდებს მომხმარებელთა მიხედვით, განახორციელებს კონტროლს ფონდების რეალიზაციისა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი, განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოთა შორის; კონტროლს გაუწევს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სამეურნეო ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უზრუნველყოფს მასალების სწორად შენახვას და განახორციელებს მათი მომჭირნეობით ხარჯვის ღონისძიებებს;

ო) განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, დააფინანსებს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საწარმოო-ტექნიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოფს მოგებისა და ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმების შესრულებას; შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად; გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის წარმოსაქმნელი თანხებისა და სხვა სახსრების გადასანაწილებლად, აგრეთვე საწარმოებისა და ორანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვის სახსრების შენახვის ცალკე ანგარიშებს;

პ) მოაწყობს აღრიცხვასა და ანგარიშგებას კომიტეტის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, განიხილავს და დაამტკიცებს მათს ანგარიშებსა და ბალანსებს; ჩაატარებს კომიტეტის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს და უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას;

ჟ) შეიმუშავებს წინადადებებს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ღონისძიებებს; განახორციელებს კონტროლს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებისადმი, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესრულებისადმი, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვისადმი;

რ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და შენახვის ხარჯების შემცირებისათვის;

ს) განახორციელებს მუშაობას ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა შერჩევის, აღზრდის, მომზადებისა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მათი სწორად გამოყენებისათვის; განსაზღვრავს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე;

ტ) წარადგენს დადგენილი წესით მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საპატიო წოდებათა მისანიჭებლად, მთავრობის ჯილდოებით, სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებლად და გამოიყენებს წახალისების სხვა სახეობებს;

უ) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც მიზნად ისახავს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური და ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვას, ხელს უწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას;

მიიღებს ზომებს ორგანიზაციებსა და საწარმოებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

ფ) მოაწყობს მუშაობას შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისათვის, სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისათვის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

ქ) დროულად და ყურადღებით განიხილავს მშრომელთა წერილებს (განცხადებებსა და საჩივრებს), აგრეთვე მიიღებს ზომებს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია მშრომელთა წერილებში;

ღ) მიიღებს სამინისტროებისაგან, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ცნობებს, რაც ესაჭიროება კომიტეტს მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად;

ყ) განახორციელებს რესპუბლიკის საგამომცემლო საქმიანობის უფლების მქონე საწარმოთა, პოლიგრაფიულ საწარმოთა, წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფოებრივ აღრიცხვას, ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სახელმწიფო სტატისტიკასა და ერთიან ბიბლიოგრაფიულ რეგისტრაციას;

შ) განახორციელებს ტექნიკურ-ეკონომიურ ინფორმაციას საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის დარგში მოწინავე საწარმოო და

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერულ-ტექნიკური სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების საკითხებზე;

ჩ) დადგენილი წესით უზრუნველყოფს საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის დარგში საზღვარგარეთის ქვეყნებთან კავშირურთიერთობის განხორციელების ღონისძიებათა შესრულებას; დადგენილი წესით წარუდგენს წინადადებებს საზღვარგარეთ საქართველოს სსრ გამომცემლობათა შეკვეთებისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში — საზღვარგარეთის შეკვეთების პოლიგრაფიული შესრულების შესახებ.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის ვაჭრობის ხელმძღვანელობის ყველა საკითხს წყვეტს მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს კომიტეტის თავმჯდომარე.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად კომიტეტის ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას.

კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო შემთხვევებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები და დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეთა, მთავარი სამმართველოების, სამმართველოების უფროსთა და კომიტეტის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე კომიტეტის ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობისათვის.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს ბეჭდვითი სიტყვის მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნასთან, საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებასთან, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებასთან, კადრების შერჩევასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, ისმენს კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა, აგრეთვე კომიტეტის ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებები ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ აზრთა სხვადასხვაობაზე მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს შეუძლიათ თავის მხრივ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან სათათბირო ორგანოთა უფლებებით იქმნება სამეცნიერო-საგამომცემლო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები. საბჭოების შემადგენლობასა და მათ დებულებებს ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს მისთვის დაწესებული შრომის გეგმის (საბიუჯეტო ასიგნებათა) ფარგლებში.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებს (დებულებებს).

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საშტატო განრიგებას, აგრეთვე მათ დებულებებს ამტკიცებს **კომიტეტის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სამმართველოები, სამმართველოები და განყოფილებები კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

---

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 2 დეკემბრის № 579 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ვინაიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 დეკემბრის № 676 დადგენილებით სოფლის ჯგუფური წყალსადენების შიდა ქსელი კვლავ რჩებათ საექსპლუატაციოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ამიტომ, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 2 დეკემბრის № 579 დადგენილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული წყლის საფასურის გადახდის წესი გაგრძელდეს 1976 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 19 თებერვალი, № 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 за 1974 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VIII-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 4 სააღრიცხვო თაბახი 4

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 445 უე 05738 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ბ 10/161

ეროვნული
ბიბლიოთეკა